# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 1 სექტემბერი, 2011 წელი.

№162 (6773)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


წინ, საქართველო!

## „ჯვაროსანთაგან“ დასეტყვილი კალათი



ასეთ შედეგს, ალბათ, ბევრი არ ელოდა, მაგრამ უკვე შეგვიძლია შვებით ამოვისუნთქოთ: საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ლიტვაში დაწყებული ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატის ჯგუფური რაუნდის სასტარტო მატჩში ბელგიელებთან — 81:59. გილოცავთ!

შარშანდელ საკვალიფიკაციო ტურნირში იმავე მეტოქესთან განცდილი ორი მარცხის გამო აღებულ რევანშში იგორ კოკოშკოვის გუნდის ყველა წევრმა შეიტანა ღირსეული წვლილი, მაგრამ მაინც განსაკუთრებულად გვესახება ზაზა ფაჩულიას, ვიქტორ სანიკიძის, ვლადიმერ ბოისას და თორნიკე შენგელიას ალმაფრენა.

დღეს 19 საათზე კლაიპედაში „ჯვაროსნები“ რუსებს ეთამაშებიან. მორიგი წარმატება ვუსურვოთ ჩვენს თანამემამულეებს.





ესეც თქვენ, დაუნახავებო!

## სტრასბურგიდან ქუთაისში მიმავალო ქარო...

### ყველაზე მაგარი ევროპა ევროპაში

**ვიღაც-ვიღაცებს, რასაკვირველია, პოლიტიკურად ახლომხედველებს, დღემდე უკვირთ, რატომ გადააქვს სააკაშვილის ჩვენი პარლამენტი თბილისიდან ქუთაისში... აქამდე არ ამხელდა, ბატონებო, ახლა კი, როცა ჩავიდა და ნახა, რომ შენობა დათქმულ დროზე, ანუ გრაფიკზე ბევრად ადრე დამთავრდება, საქვეყნოდ, მთელი მსოფლიოს, მარტო ევროპისა კი არა, მთელი მსოფლიოს გასაგონად გამოაცხადა: ეს ჩვენი უძველესი ქალაქი აია ყველაზე მაგარი ევროპაა ევროპაშიო... მანამდე კი, როგორც პოლიტიკურმა მემკვიდრემ, დავით აღმაშენებელი თავისი ძველი ადგილიდან დაძრა და ქალაქის თავში გადაიყვანა.**

აქაოდა ქუთაისი ევროპაში ყველაზე მაგარი ევროპა ყოფილაო, უმალ ფეხზე დადგა ბევრი ევროპა, მაგრამ, როგორც ცივილიზებულ კონტინენტს შეეფერება, კი არ იხუა, ეს რა გავიგონეთო, სააკაშვილისგან ახალი პოლიტიკურ-გეოგრაფიული აღმოჩენა, ჩანს, არც გაჰკვირვებიათ, — უმალ პრაქტიკულ საქმეებზე გადავიდნენ...

როგორც გუშინ **ევრონიუსმა** გადმოსცა, სტრასბურგსაც, ლუქსემბურგსაც და ბრიუსელსაც სადარდებელი გასჩენიათ: უკეთუ კავკასიის ძველთუძველესი აია მართლა ყველაზე მაგარი ევროპაა ევროპაში, ცოტა არ იყოს, უხერხულია ევროკავშირის ევროპარლამენტისა და ნატოს შტაბბინის ევროპის ჩვენს არამაგარ ნაწილში განლაგებაო. და მალე, ალბათ, დაიწყება სერიოზული მოლაპარაკება საქართველოს მყვინთავ პრეზიდენტთან (ეტყობა, ამასწინანდელი ჩაყვინთვის დროს მიაგნო შავი ზღვის ფსკერზე რაღაც ბერძნულ წყაროს ევროპაში აიას ყველაზე მაგარ ევროპულობაზე!) ევროკავშირის, ევროპარლამენტისა და ნატოს შტაბბინის ქუთაისში გადმოტანის თაობაზე... ევრონიუსი „რუსთავი-2“ ან „იმედი“ ხომ არ არის, რომ გვატყუებდეს. ჩანს, რაღაცა დოზით მართლაც სიმართლესთან გვაქვს საქმე...




პრეზიდენტი ქუთაისში

ეჰ, რა დასანანია, რომ ვარდებიანი საქართველოს პირველი პრემიერ-მინისტრი ვერ მოესწრო ამ უდიდეს დღეს საქართველოს ისტორიაში... არადა, ქართველი ვარ, ესე იგი ევროპელი ვარო კი არა, ყველაზე მაგარი ევროპელი ვარო, მეტი სიამაყით იტყოდა, მაგრამ ვინ აცალა...

ის ცნობილი ძველი სიმღერაც უთუოდ ახლებურად გადაკეთდებოდა:

**სტრასბურგიდან ქუთაისში მიმავალო ქარო,**
**მალე ჩადი, ქუთაისი უნდა გაახარო,**
**უნდა უთხრა, ევროპა ხარ და მაგარი ხარო!**
**ჩვენი მიშა გულიანად უნდა ახარხარო!**
მისამღერი:
**ქუთაისი ქალაქია**
**პარლამენტის მშენებელი,**
**მიშიკო კი პრეზიდენტი,**
**მისი დამამშვენებელი!..**

გურამ წიკლაური

## გუშინ საღამოს რუსთაველის თეატრის წინ

### გიორგი შენგელაია:

## „ფეხებსაც ვერ მოგვჭამენ!..“

**რობერტ სტურუას** რუსთაველის თეატრში დაბრუნების მოთხოვნით გუშინ რუსთაველის თეატრის წინ საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციაზე შეკრებილი იყვნენ როგორც რუსთაველის თეატრის დასის მსახიობები, ასევე საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.



თეატრის კედლებზე გაკრული იყო რობერტ სტურუას ფოტოები წარწერით: „**მომხსნეს!**“. ასევე იმ სპექტაკლების სახელწოდებები, რომლებიც რობერტ სტურუას მიერაა დადგმული, მანეკენები აქციაზე მსახიობების როლს ასრულებდნენ. ერთ-ერთი მანეკენი კი რობერტ სტურუას წააგავდა. მას ეცვა მაისური, რომლის წინა მხარეს გამოსახული იყო რობერტ სტურუას სურათი წარწერით: „მომხსნეს“, ხოლო უკანა მხარეს — კულტურის მინისტრის 9 აგვისტოს ბრძანება სტურუას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გარდა ამისა, თეატრის კედლებზე წაიკითხავდით წარწერებს: „**შეცდომაა: რობერტ სტურუა აღარ არის რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი; სწორია: რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია!**“. ვინც ამ პოზიციას ეთანხმებოდა, იმათ თავიანთი თანხმობის დადასტურება ხელმოწერებით შეეძლოთ.

როგორც რუსთაველის თეატრის მსახიობები აცხადებდნენ, აღნიშნული თეატრალიზებული აქცია ორგანიზებული იყო რუსთაველის თეატრის დასის მიერ და რობერტ სტურუას თეატრში დაბრუნებას ისახავდა მიზნად. აქციაზე რუსთაველის თეატრის დასის წარმომადგენლები შემოსილი იყვნენ რობერტ სტურუასგამოსახულებიანი მაისურებით.

მთავარია, რომ საპროტესტო აქციით საზოგადოებამ დაადასტურა თავისი პოზიცია სააკაშვილის რეჟიმის მიმართ. „**ეს არ ეხება მარტო რობერტ სტურუას, ეს ეხება მთელ სახელმწიფო მოწყობას. ხელისუფლების დამოკიდებულებას თეატრის, კინოს, წიგნის მიმართ, მაგრამ ფეხებსაც ვერ მოგვჭამენ!**“ ამბობს კინორეჟისორი გიორგი შენგელაია.

არადა, ფაქტია, რომ, ჯერჯერობით თავისი გააქვთ.

ვილენ მარდალეიშვილი

რთველი

# ზეგაანის ღვინის ქარხანა რქაწითელს — 50 თეთრად, საფერავს კი 70 თეთრად ჩაიბარებს



ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრს კომპანიის დირექტორმა ბითარ ბიწკინაშვილმა განუცხადა.

— რქაწითელს 35 თეთრად ჩავიბარებთ, დამატებით, 15 თეთრს სუბსიდიის სახით სახელმწიფო გადაიხდის. საფერავში 45 თეთრს გადავიხდით, ხოლო 25 თეთრს სახელმწიფო დაამატებს. წელს სულ 300 ტონამდე ყურძნის მიღებას ვგეგმავთ, — აღნიშნა ბითარ ბიწკინაშვილმა.

ღვინის სხვა კომპანიებში, რომლებიც წელს ყურძნის მიღებას გეგმავენ, ჯერ ფასებს არ აკონკრეტებენ.

2010 წელს ღვინის ქარხნებმა ერთი კილოგრამი საფერავის ჯიშის ყურძენი 40 თეთრად ჩაიბარეს და სუბსიდიის სახით დამატებით 25 თეთრი გაიცემოდა. რქაწითელში 30 თეთრს ღვინის ქარხანა იხდიდა, 15 თეთრი სუბსიდიიდან გაიცემოდა. გასულ წელს, რამდენიმე დღის განმავლობაში, რქაწითელის ჯიშის ყურძნის ჩასაბარებელი ფასი 45 - დან 80 თეთრამდეც გაიზარდა.

ჯი-ეიჩ-ენის ცნობით

## თავისუფალმა დემოკრატებმა ნაგვის გადასახადის გაძვირება თბილისის მერიასთან გააპროტესტეს

**თავისუფალმა დემოკრატებმა ნაგვის გადასახადის გაძვირება თბილისის მერიასთან გააპროტესტეს. თავისუფალმა დემოკრატებმა მერიის შენობის წინ ნაგვის პარკები მოიტანეს, რომელზედაც ქართულ და ინგლისურ ენებზე ეწერა: „ფული“.**

პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აბაშიძემ ჟურნალისტებს ელექტროენერგიის, ნაგვისა და წყლის ერთიანი ქვითარი წარუდგინა და აღნიშნა, რომ სხვების მსგავსად მიმდინარე თვეში მანაც მიიღო ნაგვის გაზრდილი გადასახადი.

ზურაბ აბაშიძის თქმით, პირადად მისი ნაგვის გადასახადი 3-ჯერ არის გაზრდილი.

ეს გადასახადი ზამთარში კიდევ ბევრად მეტი იქნება, რადგან ელექტროენერგიაზე არის მიბმული, — აღნიშნა აბაშიძემ.

თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენელმა მიმართა თბილისის მერს, ნაგვის გადასახადიდან შემოსული თანხა მოხმარდება თუ არა ისევ დასუფთავების სფეროში მომუშავე ადამიანებს, რომლებსაც არანორმირებული სამუშაო დრო და მინიმალური ანაზღაურება აქვთო.

ასევე მან მიმართა თბილისის მერს, როდესაც დასუფთავების კომპანია მომგებიანი გახდება, გაიყიდება თუ არა სხვა კომპანიების მსგავსადო.

ზურაბ აბაშიძე მიიჩნევს, რომ დასუფთავება მერიის მუნიციპალური ვალდებულებაა და თბილისის მოქალაქეები ქალაქის ხელისუფლებისაგან უკეთეს მოპყრობას იმსახურებენ.

## ლეიბორისტებმა თბილისის ზოოპარკში შესასვლელი ბილეთის ფასის გაძვირება გააპროტესტეს

**პარტიის წევრები გუშინ ზოოპარკის შესასვლელთან შვილებთან ერთად მივიდნენ და ფასის შემცირების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართეს.**

ლეიბორისტების იდეოლოგიური მდივნის კახა ძაგანიას განცხადებით, ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლების შვილები მსოფლიოს სხვადასხვა ძვირადღირებულ კურორტებზე ისვენებენ, უბრალო მოსახლეობას კი, რომლებმაც მთელი ზაფხულის განმავლობაში ბავშვები ქალაქგარეთ ვერ გაიყვანეს, ზოოპარკში შესვლის საფასური 50 თეთრიდან 2 ლარამდე გაუძვირეს.

ძაგანიას განცხადებით, ლეიბორისტული პარტია მოითხოვს: ყველა ბავშვს, როგორც მაღალჩინოსნის, ასევე უბრალო მოქალაქის შვილს, თანაბარი სოციალური პირობები ჰქონდეთ და გართობაც და განათლების მიღებაც თანაბრად შეეძლოთ.



პარტიული ცხოვრება

# ვინ „გააფუჭებს“ სუბარს?

**ოპოზიციურ სიბრტყეზე სრული სიცარიელეა. ვარსკვლავებს ოპოზიციონერები არც მანამდე წყვეტდნენ ზეციდან, მაგრამ ამჯერად ოპოზიციურ ბომონდში ისეთი დაბნეულობაა, როგორც არასდროს.**

„პრესა ჯი“-ს „ქართული პარტიიდან“ აცნობეს, რომ უკვე რამდენიმე კვირაა, რაც პარტიის ერთ-ერთი ლიდერი სოზარ სუბარი არც ოფისში გამოჩენილა და არც მინიპარტიულ შეკრებებზე. „ქართული პარტიის“ წევრი აცხადებს, რომ საზღვარგარეთ გამგზავრებამდე, სოზარ სუბარი ოფისში მივიდა და საკუთარი კაბინეტიდან შიდა მოხმარების დოკუმენტაცია წაიღო.



სოზარს, ჩანს, მისივე ბოსის ბოლო ინტერვიუსი ისე შეეშინდა, რომ სამომავლო კომპრომეტირების ყველა საბუთი სახლში გადამალა. ოქრუაშვილის სტილი — თანაპარტიელების ჩაწერა-გადაწერა სუბარისთვისაც საშიში აღმოჩნდა, გაჩეჩილაძესთან მას იმაზე ახლო ურთიერთობა ჩამოუყალიბდა (ყოველ შემთხვევაში მანამდე, ვიდრე სოზარი და გაჩეჩილაძე ერთმანეთს წიხლ-მუშტებით არ დაუპირისპირდნენ), ვიდრე გარედან ჩანდა.

იმასაც ამბობენ, ოქრუაშვილს, ფაილებში შენახული მასალები „ბრეჩიხაზე“ მრავლად აქვს და რაწამს გაჩეჩილაძე პარტიულ მუშაობას და ქულების დაწერას დაიწყებს, ოქრუაშვილი ამ ფაილებსაც გახსნისო. „ოქროს“ კომპრომატებმა კი შესაძლოა სოზარ სუბარიც დააზიანოს. ოქრუაშვილი იმ ფაქტორს გაუღიზიანებია, რომ „ბრეჩიხა“ ბოლო დროს ისევ ბურჯანაძის ოჯახობას დაუახლოვდა.

ამან სოზარიც დააფრთხო. „ქართულ პარტიაში“ ვარაუდობენ, რომ სოზარს თავისივე გარემოცვიდან სოფიო ხორგუანი „გააფუჭებს“. ყოფილი სახალხო დამცველი მას ორი ხელით ლობირებს, სამაგიეროდ, ინტრიგებში გამობრძმედილი ხორგუანი ეროსის „ეფლირტავება“ (ან პირიქით).

თავის დროზე, ეროსი ოქრუაშვილს არწმუნებდა, გენერალური მდივნის პოსტზე სოზარი ტლაშაძის წინააღმდეგია და ხორგუანს ლობირებსო, ხოლო ხორგუანი ერთი მხრივ ეროსის ეფიცებოდა ერთგულებას, მეორე მხრივ კი, სუბარს აქეზებდა. გაურკვევლობაში მყოფი სოზარი კი, როგორც ჩანს, „ქართული პარტიიდან“ იქამდე აორთქლდა, ვიდრე მის პოლიტიკურ ტყავს სერიოზული საფრთხე დაემუქრებოდა.

**ირმა გორდელაძე**

რაც არ გერგება, არ შეგერგება

**როგორც Presa.ge გვაუწყებს, რუსეთი აფხაზეთში უკანონოდ მითვისებული ქონების ჩამორთმევას იწყებს. პირველი, ვისაც „აფხაზურ სიმდიდრეზე“ უარის თქმა მოუწევს, მოსკოვის ყოფილი მერი იური ლუჟკოვია.**

# იური ლუჟკოვს აფხაზეთში ქონებას ართმევენ



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ ლუჟკოვისათვის ქონების ჩამორთმევა გადაწყვეტილი საქმეა. განსაკუთრებული აქცენტი სანატორიუმებზე კეთდება. „სანატორიუმები, რომლებიც ფულის დაბანდებას აღარ საჭიროებს, აფხაზეთის ხელისუფლებას დაუბრუნდება, დანარჩენები კი — მოსკოვს“, — აცხადებენ სამინისტროში.

აფხაზეთის ხელისუფლებაში ადასტურებენ, რომ იური ლუჟკოვმა ადმინისტრაციული რესურსის წყალობით აფხაზეთში მართლაც დიდი ქონება მიითვისა. აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრის მერაბ ქიშმარიას განცხადებით, ლუჟკოვს ძალიან უყვარს აფხაზეთი, რომელიც ზაფხულში, ტურისტული სეზონის დროს ძალიან მომგებიანია, მაგრამ რადგანაც აღნიშნულ მიწებს სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს, ისინი რეალურ მეპატრონეს დაუბრუნდება.

ამ დროისათვის, მოსკოვის ყოფილი მერი აფხაზეთში ფლობს: სტალინის აგარაკს გაგრაში, სანატორიუმ „ამრას“, პანსიონატ „გაგრიფშსა“ და „კოლხიდას“, ასევე, საკმაო მოცულობის მიწის ნაკვეთს გაგრაში — ზღვის სანაპიროზე, სასტუმრო „რიწასა“ და „აფხაზიას“ და მიწის ნაკვეთს სოხუმის ცენტრში, სადაც ამჟამად გასართობი კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს.

როგორც ამბობენ, ლუჟკოვი განსაკუთრებული მონდომებით არჩევდა ტერიტორიებსა და უძრავ ქონებას. სტალინის აგარაკს, მაგალითად, ახლაც კი ისეა დაცული, როგორც პრეზიდენტის რეზიდენცია.

სანატორიუმ „ამრას“ ადმინისტრატორის თქმით, „ყველასათვის ცნობილია, რომ აფხაზეთის კურორტებისა და სანატორიუმების დიდი ნაწილი ლუჟკოვის ოჯახს ეკუთვნის, მათ შორის „ამრაც“. ობიექტი, ეგზოტიკური ნარგავებითაა გარშემორტყმული და დახურული ზონაა.

პანსიონატი „კოლხიდა“ გაგრაშია და ქალაქის მთავარი თვალსაჩინოების სიახლოვეს მდებარეობს, — პრინც ოლდენბურგელის ციხესიმაგრის შემოგარენში, იქვეა ზღვისპირა პარკი და ზოოპარკი.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვის ექს-მერისათვის ქონების ჩამორთმევით, რუსეთი აფხაზეთში უფრო „გლობალურ პროექტს“ — „თავისი საკუთრების“ დაბრუნებას იწყებს. „დამოუკიდებელ“ აფხაზეთში კი მოსკოვს, თავისდად არაერთი ობიექტი და ტერიტორია აქვს მიჩნეული. მათ შორის, ყველაზე მიმზიდველ ადგილებზე განთავსებული, დიდი და კარგად მოწყობილი სანატორიუმები, რომლებიც მიმდინარე ზაფხულში რუსებმა მას შემდეგ დახურეს, რაც აფხაზებმა მოითხოვეს, სანატორიუმებს მათი ვეტერანებიც მიელო. სანატორიუმ „სოხუმის“ თანამშრომლებმა საპროტესტო აქციებიც მოაწყვეს, თუმცა უშედეგოდ. მაშინ ითქვა, რომ რეალურად მოსკოვს იმ ტერიტორიების დასაკუთრება სურს, რომლებზეც აღნიშნული ობიექტია განთავსებული. ხოლო, რა ტერიტორიებია ეს, მხოლოდ სანატორიუმ „სოხუმის“ მაგალითზეც გასაგებია: სანატორიუმი, სოხუმის ცენტრში, ზღვის სანაპიროსთან ახლოს მდებარეობს. ის განთავსებულია 30 ათას კვადრატულ მეტრზე, მარადმწვანე სუბტროპიკულ ნარგავებში. ობიექტი მოიცავს 5 კორპუსს, დასასვენებელ პარკებს, გასართობ კლუბებს, კაფე-რესტორნებს, სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსსა და კოსმეტიკურ სალონებს...

მოკლედ, აფხაზები ყველაზე მიმზიდველ ტერიტორიებს უნდა დაემშვიდობონ და თუ ამას ის საკანონმდებლო ცვლილებაც დაემატება, რომლის ლობირების პირობაც უკვე დადო ახლადარჩეულმა ანქვაბმა და რომელიც რუსებისათვის უძრავი ქონების შესყიდვის უფლებას დააკანონებს, აფხაზებს აფხაზეთში აღარაფერი შერჩებათ.

თუმცა, აქ მთავარია გასათვალისწინებელი. ერთ დროს, როცა ამ ქონებას ეპატრონებოდა, არც ლუჟკოვი ფიქრობდა, რომ დრო მოვიდოდა და მის ჩამორთმევას დაუპირებდნენ. ამიტომ, არც ახალი მეპატრონე უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ მისი „საკუთრება“ სამუდამოა.

**თეა ინასარიძე**

# პოლიტიკურ ასპარეზზე ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირება იქნება

**— ბატონო კახა, ზაფხულიც მიილია. პოლიტიკური თვალსაზრისით, ზოგადად, რიგორი შეიძლება აღმოჩნდეს 2011 წლის შემოდგომა?**

— ზოგადი შეფასებისას უფრო გრძელვადიანი პერსპექტივიდან უნდა ამოვიდეთ, ანუ იმ ტენდენციებიდან, რომელიც უფრო მეტ ხანს იარსებებს, ვიდრე – წლევანდელი შემოდგომა. ეს ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლება, ხელისუფლების ლოგიკიდან გამომდინარე, სულ უფრო და უფრო შეეცდება, საზოგადოება დაუქვემდებაროს თავის კონტროლს. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, საზოგადოების მხრიდანაც იქნება საპასუხო რეაქცია.

მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ, როგორც ჩანს, ხელისუფლებაც ბოლომდე ვერ ითვალისწინებს ყველაფერს. ვთქვათ, იგივე რელიგიურ კანონმდებლობასთან დაკავშირებით, იგივე როზერტ სტურუას გათავისუფლების გამო წარმოქმნილ, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულობას. შესაძლოა, სოციალურმა პრობლემატიკამ წინ ძალიან მოულოდნელად წამოიწიოს. მაგრამ, ამ შემოდგომაზე არა მგონია.

**— უპრიანია, კითხვა ასე დაისვას — ამ შემოდგომაზე რისთვის ემზადება ხელისუფლება და რისთვის — დაქსაქსული ოპოზიცია? აშკარაა, რომ ამ შემოდგომას ხელისუფლება განსაკუთრებულად მომზადებული ხვდება. დავიწყოთ ხელისუფლების მიერ შემოდგომაზე დასაძლევი ამოცანებით. იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებას თითქმის ყველა ფრონტზე ოპოზიციისთვის ბრძოლა აქვს მოგებული და თქვენ ბრძანეთ, რომ ხელისუფლება საზოგადოების კიდევ უფრო დაქვემდებარებას შეეცდება; რა ამოცანები აქვს გადასაწყვეტი ხელისუფლებას?**

— ერთი შეხედვით, ხელისუფლებამ ოპოზიციას ბრძოლა ყველა ფრონტზე კი მოუგო, მაგრამ აქ ხელისუფლების და ოპოზიციის დაპირისპირება რამდენადმე სხვაგვარია, ვიდრე – საზოგადოებისა და ხელისუფლების დაპირისპირება. ხელისუფლებისთვის უმთავრესია საზოგადოების კონტროლი, ხოლო რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებზე კონტროლს, არსებული პარტიების დიდ უმრავლესობაზე კონტროლი რაღაც ფორმით მოპოვებული აქვს. ამ თვალსაზრისით, საყურადღებო იყო ჟურნალ „ტაბულის" ბოლო ნომერში თამარ ჩერგოლეიშვილის წერილი. არ შევეხები წერილში გამოთქმულ იმ მესიანისტური ტიპის მოტივებს, როგორებიც არის – „ჩვენ მართლები ვართ" და „ბნელები გვებრძვიან". ეს უკვე სასაცილო დეტალებია, მაგრამ სხვა მომენტები იყო უფრო საინტერესო. ერთია გამოთქმული წუხილი იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება მოკლევადიან პერსპექტივაზე მუშაობს და მეორე – გამოთქმულია შეშფოთება, რომელიც ეტყობა, ხელისუფლების გულის სიღრმეში არაცნობიერ დონეზეა. ხელისუფლება საზოგადოებას ისე ვერ იქვემდებარებს, როგორც – უნდა.

სტურუასთან დაკავშირებულმა ისტორიამ ნათლად აჩვენა, რომ ხელისუფლებამ სხვადასხვა ჯგუფების ინტერესი უნდა გაითვალისწინოს. საუბარია ისეთ საზოგადოებრივ ჯგუფებზე, როგორებიც არიან ხელოვანები, მედიკოსები, პედაგოგები. თუმცა, როგორც ჩანს, ხელისუფლებამ პედაგოგები თითქმის სრულად დაიქვემდებარა. ექიმები სპეციფიური კატეგორიაა. ხშირად გაიგონებთ მედიკოსებისაგან, რას გვერჩის ეს ხელისუფლებაო? თავისი ბუნებით, ექიმები დამოუკიდებელნი არიან. აქ კონკრეტული ექიმების პოლიტიზებაზე კი არ არის საუბარი, არამედ საუბარია იმაზე, რომ არიან სოციალური ჯგუფები, რომლებიც ასეთ აბსოლუტურ ხელისუფლებას თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე უწევენ წინააღმდეგობას. ხელისუფლებისთვის მთავარი წინააღმდეგობა სწორედ ეს არის და, შესაბამისად, ამ ტიპის სოციალური ჯგუფების წინააღმდეგობა ექნება დასაძლევი. ჯერჯერობით, ეს სოციალური ჯგუფები პასიურად არიან. მაგრამ აშკარაა, რომ სტურუასთან დაკავშირებულმა ისტორიამ ხელისუფლება ძალიან შეაშფოთა. გასათვალისწინებელია ყველაზე მრავალრიცხოვანი სოციალური ჯგუფი, მრევლი, რომელიც ჯერჯერობით აქტიური არ არის. ამიტომაც არის, რომ ხელისუფლება ეკლესიის დამოუკიდებლობის შეზღუდვას და თავის კონტროლს დაქვემდებარებას ცდილობს. ამ ტიპის ხელისუფლებას აბსოლუტური ხელისუფლების სახით არსებობის გარეშე არსებობა არ შეუძლია.



2011 წლის შემოდგომის პოლიტიკური ასპექტების თავისებურებებზე **„ინტერპრესნიუსი"** ფილოსოფოსს, პოლიტოლოგსა და ექსპერტს სამხედრო საკითხებში **კახა კაციტაძეს** ესაუბრა.

**— ოპოზიციას ამ შემოდგომისთვისაც აქვს დაანონსებული გააქტიურება. ბევრი მიიჩნევს, რომ ოპოზიციაში გაგრძელდება შიდადაპირისპირება და ნაკლებად სავარაუდოა ერთიანი გეგმით მოქმედება. თქვენი აზრით, რა ნაბიჯებია მოსალოდნელი რადიკალური ოპოზიციის მხრიდან? მოგეხსენებათ, რადიკალურ ოპოზიციაში ხშირად „ქართულ პარტიას" და ბურჯანაძის „დემოკრატიულ მოძრაობას" გულისხმობენ...**

— გითხრათ სიმართლე, მათ ერთად ვერანაირად ვერ განვიხილავ, მაგრამ ერთს კი ვიტყვი. რადიკალებსაც და ლიბერალებსაც, ყველას ექნება დასაძლევი საორგანიზაციო საკითხები, სტრუქტურების ჩამოყალიბება და ასე შემდეგ. ცხადია, ეს ყველაფერი თავიდან არის შესაქმნელი. ერთხელ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ რადიკალები და იგივე ბურჯანაძე გაძლიერდნენ. რასაკვირველია, ამას ხელისუფლება თავისივე სისულელით აკეთებს. სავარაუდოდ, იმიტომაც აკეთებს, რომ არაადეკვატურად მოქმედებს. რადიკალების გააქტიურება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საზოგადოების პროტესტი იქნება. მოცემულ მომენტში მთავარი ძალა საზოგადოებაა. პოლიტიკოსებს მხოლოდ მხარის დაჭერა შეუძლიათ. ასე რომ, რადიკალების გააქტიურება მეტწილად საზოგადოების აქტიურობაზეა დამოკიდებული.

**— „ექვსიანი" კვლავ ინარჩუნებს იმ პოლიტიკური გაერთიანების სტატუსს, რომელსაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ხელისუფლების პირობები არ მიუღია. შეძლებს თუ არა „ექვსიანი" ამ სტატუსის შენარჩუნებას და, სავარაუდოდ, რა ნაბიჯებს გადადგამს „ექვსიანი"? და კიდევ, რამდენად სავარაუდოა „ექვსიანის" ერთ პოლიტიკურ ბლოკად ჩამოყალიბება ან დაშლა?**

— ჯერ ძალიან ადრეა ლაპარაკი „ექვსიანის" ერთ პოლიტიკურ ბლოკად ჩამოყალიბებაზე. „ექვსიანში" გაერთიანებულ პარტიებს გასარკვევი აქვთ ის პრინციპები, რის ირგვლივაც უნდა გაერთიანდნენ. ფაქტია, რომ მათ ეს პრინციპები ჩამოყალიბებული ჯერაც არა აქვთ. ამიტომაც არის, რომ ვამბობ, არც რადიკალური და არც ლიბერალური ოპოზიციის მხრიდან აქტივობები არ დაიწყება. ანუ, პოლიტიკური ნიშნით გააქტიურების პირველი დამწყებნი ისინი არ იქნებიან. მაგრამ, შესაძლოა, გარკვეულ პროცესებზე საზოგადოების რეაქციები ისეთი იყოს, რომ პოლიტიკურმა პარტიებმაც დაიწყონ მოქმედება.

რაც შეეხება „ექსვიანის" სავარაუდო დაშლას, ჯერ ვერაფერს ვიტყვი. ფაქტია, რომ „ექვსიანი" ჯერ მყიფე გაერთიანებაა. ჯერ ისინი გაერთიანდნენ და მათივე დაშლის ალბათობაზე მერე ვილაპარაკოთ.

**— საზოგადოების გარკვეულ წრეებში უკვე საუბრობენ პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენის ალბათობაზე. ერთ-ერთმა საინიციატივო ჯგუფმა ოქტომბრის დასაწყისში ახალი პოლიტიკური პარტიის დაფუძნება პრაქტიკულად უკვე დაანონსა. პრესაში საუბარია იმაზეც, რომ ხელისუფლება პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენას პრობლემებს უქმნის. ამ ტიპის პრობლემების მიუხედავად, რამდენად სავარაუდოა პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი პოლიტიკური პარტიების გამოჩენა?**

— იმის გათვალისწინებით, რაც ზემოთ მოგახსენეთ, მე არა პარტიის გაჩენის ალბათობაზე, არამედ საზოგადოებრივი მოძრაობის გამოჩენის შესაძლებლობაზე უფრო ვისაუბრებდი. ანუ, იმ ტიპის ძალის გამოჩენას ვგულისხმობ, რომელიც სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს გააერთიანებს. საუბარია იმ ტიპის „სახალხო ფრონტის" გაჩენაზე, რომელიც თავის დროზე ბალტიის ქვეყნებში იყო. საუბარია არა პოლიტიკურ პარტიაზე, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, არამედ უფრო ფართო მოძრაობაზე. ჩემი აზრით, 1990-იან წლებში საქართველომ მნიშვნელოვნად იმის გამო წააგო, რომ „სახალხო ფრონტი" სხვა პოლიტიკურ პარტიებს შორის ერთ-ერთი პოლიტიკური პარტია გახდა.

ჩემი აზრით, შექმნილ ვითარებაში მოთხოვნა არა პარტიაზე, არამედ საზოგადოებრივ მოძრაობაზე უფრო იქნება. პოლიტიკურ ასპარეზზე პარტია გარკვეული იდეოლოგიით უნდა მოვიდეს. ვითარებაში, როცა ყველაფერი ნათელია, პოლიტიკურ ასპარეზზე რა იდეოლოგიის პარტია უნდა გაჩნდეს, გაუგებარია. ახლა მოქმედების გეგმაა შესადგენი. გარდა ამისა, პარტიების იდეა ჩვენში ძალიან დისკრედიტებულია.

**— საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად რამდენად სავარაუდოა ოპოზიციის ორივე ფრთის ძალისხმევის გაერთიანება და ამ თვალსაზრისით კონკრეტული მოთხოვნების დაყენება, რომელთა გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარება ეჭვის ქვეშ დადგებოდა?**

— ამის გაკეთება ლიბერალურ ოპოზიციას აქამდეც შეეძლო. ამის მსგავსი რამ ოპოზიციისგან ჯერ არ მოგვისმენია. თუმცა, ბატონმა ალასანიამ პოლიტიკის კორექტირება გააკეთა და ახალი კონცეფციის ცნება შემოიტანა. ის საუბრობს „საარსებო გარემოს" შეცვლაზე. საუბარია იმაზე, თუ როგორ უნდა შევცვალოთ საარსებო გარემო. მაგრამ ჯერაც უცნობი რჩება, თუ რას მოიცავს თავად ცნება „საარსებო გარემო". საინტერესოა ისიც, თუ რითი განსხვავდება საარსებო გარემოს შეცვლა, საარჩევნო გარემოს შეცვლისგან. და კიდევ, რითი განსხვავდება მისი მოთხოვნები იმ მოთხოვნებისაგან, რასაც რადიკალები ითხოვენ. მხედველობაში მაქვს მედიისა და სასამართლოს თავისუფლება, რომლის შეცვლის აუცილებლობის საკითხს რადიკალები კატეგორიულად აყენებენ. ჩემი ვარაუდით, ეს ის საკითხებია, რომლებშიც მათ გადაკვეთის წერტილები უნდა გაუჩნდეთ. ოპოზიციას ისიც უნდა ესმოდეს, რომ გამსხვილების და გაერთიანებების დრო აშკარად მოვიდა.

**— რამდენად სავარაუდოა, რომ ხელისუფლება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ფარგლებში გარკვეულ ნაბიჯებზე თავად წავიდეს? საუბარია იმავე მედიისა და სასამართლოს საქმიანობაში სერიოზული კორექტივების შეტანაზე. და კიდევ, რამდენად სავარაუდოა, რომ ამ საკითხებში ხელისუფლებამ დასავლეთის ზეწოლას გაუწიოს ანგარიში?**

— კი, მაგრამ რატომ წავა? მასობრივი ზეწოლის გარეშე მე არ მესმის რამ უნდა აიძულოს ხელისუფლება, წავიდეს მნიშვნელოვან კორექტივებზე მისთვის ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა მედია და სასამართლო. პოლიტიკური მეცნიერებებიდან ცნობილია, რომ ჩვენი ხელისუფლება ზუსტად ისე იქცევა, როგორც ყოვლისმაკონტროლებელი ხელისუფლება. და ეს ლოგიკურიცაა. ჩვენი ხელისუფლება ხომ ზუსტად მმართველობის ასეთ სისტემას ქმნის.

რაც შეეხება დასავლეთის ზეწოლისთვის ანგარიშის გაწევის შესაძლებლობას; ამის კარგი მაგალითია ამერიკელი დიპლომატის თინა ქეიდენაუს წერილი, რომელიც „ვიკილიქსმა" გამოაქვეყნა და ახალაიას თავდაცვის მინისტრად დანიშვნას ეხება. ჩვენმა ხელისუფლებამ ამ საკითხში ამერიკის რჩევა გაითვალისწინა? არა, არ გაუთვალისწინებია. ჩვენთან გადაჭარბებული მოლოდინი აქვთ ხელისუფლებაზე დასავლეთის მხრიდან ზეწოლაზე. არადა, დასავლეთში, როცა ზეწოლაზე საუბრობენ, მხედველობაში აქვთ დიპლომატიური ზემოქმედება, რაც თავის მხრივ დიპლომატიურ საუბრებს გულისხმობს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჯერჯერობით, სხვა რაიმე სახის ზემოქმედება არც კი განიხილება. ამერიკას ძალიან ბევრი ისეთი პარტნიორი ჰყავს, სადაც ავტორიტარული ხელისუფლებაა, მაგრამ ვაშინგტონი ყველას ხომ ვერ გამოცვლის?

ამიტომ, ჩემი აზრით, უახლოეს წლებში პოლიტიკურ ასპარეზზე ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირება იქნება. საზოგადოების კონტროლი ისე ადვილი არ არის. ისე მოულოდნელად ჩნდება წინააღმდეგობის კერები, მაგალითად, იგივე მრევლი, იგივე სტურუა, რომ ბოლომდე ხელისუფლებაც ველარ თვლის.

**კობა ბენდელიანი**



კარის გაჯახუნება

# რობერტ სტურუა: საბედნიეროდ, თეატრიდან ჩემი წასვლა სისხლით არ დასრულდა

**„დღეს ისე ვარ განწყობილი, რომ შემოთავაზების შემთხვევაშიც, ალბათ არ დავბრუნდები რუსთაველის თეატრში. მე ჩემი სიამაყე, თავმოყვარეობა მაქვს. შერცხვენილი ადამიანი საკუთარ ოჯახში რომ ბრუნდება, მას ძველებურად ხელმძღვანელობა აღარ შეუძლია. სირცხვილის გრძნობა მას თრგუნავს“,— განაცხადა რობერტ სტურუამ „რია ნოვოსტის“ პრეს-ცენტრში გამართულ ვიდეოხიდზე, სადაც რეჟისორმა სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზებზე, სამომავლო გეგმებზე, რუსთაველის თეატრში მის შემცვლელსა და „ფეისბუკის“ მეგობრებზეც ისაუბრა.**

თეატრიდან წასული რეჟისორი თავისუფლებით ტკბება, გუშინაც რესტორანში შეეცადა დროის გატარებას, მაგრამ გარეგნულად ბედნიერი მხოლოდ ერთი შეხედვითაა. აშკარაა, რობერტ სტურუაში შინაგანად რაღაც შეიცვალა. მასზე ისიც მოქმედებს, ქალაქში გავლისას ჟურნალ-გაზეთები მის შესახებ რომაა აჭრელებული, ხვალ ოდესაში გაფრინდება, სადაც თეატრ „ეტ სეტერას“ გასტროლები აქვს დაგეგმილი. როგორც ჩანს, მისი და რუსული თეატრის გზები უკვე ხვალიდანვე გადაიკვეთება.

ამ თეატრთან მას სულიერი სიახლოვე და მოვალეობა აკავშირებს. იქაურმა მსახიობებმა შეიყვარეს და რობერტ სტურუასგანაც ასეთივე იმპულსები მიიღეს. ამ განცდას რეჟისორი სასურველ ქალთან დამოკიდებულებას ადარებს, რომელსაც 3-4 მანდილოსანს შორის გამოარჩევ და ცოლად მოიყვან, თუმცა არ იცი, რატომ შეგიყვარდა.

**„სიყვარული ისეთი ცნებაა, რომლის ახსნაც არ შეიძლება. „ეტ სეტერას“ მსგავსად, ასეთი გრძნობა სხვა თეატრებთან არ მაქვს,“** — აცხადებს სტურუა. თუმცა მისთვის ქართული თეატრი განუმეორებელია.

რუსთაველის თეატრიდან გათავისუფლებას ელოდა. მეტიც, გალაკტიონი როგორც ამბობდა, ეგონა, ეს „უბრალოდ“ და „გემოვნებით“ მოხდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. არც შემცვლელზე უჭირს საუბარი. ასეთი გრძნობა მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ორჯერ განიცადა: როცა სტალინი მოკვდა, ეგონა, მზე ჩაესვენა, მთელი ცხოვრება დასრულდა, თუმცა მოგვიანებით აღმოაჩინა, რომ მზე ისევ უცვლელად ბრწყინავდა. ასეთივე განცდა დაეუფლა, როცა თეატრმა დაკარგა სერგო ზაქარიაძე, მიშა თუმანიშვილი. მაშინაც ეგონა, თეატრი არსებობას შეწყვეტდა. აქაც შეცდა.

ამიტომ ახლაც მარტივად დაასკვნა, „მე წავალ, სხვები მოვლენ, ამით თეატრის ცხოვრება არ მთავრდება“. თუმცა რუსთაველის თეატრის მოსაგონრად მხარდამჭერებისგან მიძღვნილი შავი მაისური დაიტოვა, რომლის წინა მხარეს თავად მისი ფოტოა გამოსახული, წარწერით **„მომხსნეს“,** ხოლო უკანა მხარეს კულტურის სამინისტროს ბრძანების ტექსტი მისი გათავისუფლების შესახებ. მართლია, ეს მაისური ვერანაირად ვერ შეედრება მარადონას მიერ მისთვის ნაჩუქარ, უკვე რელიკვიად ქცეულ მაისურს, მაგრამ ესეც მისი ცხოვრებისეული ისტორიაა. თანაც გათავისუფლების ამ ბრძანების ტექსტში კულტურის მინისტრმა გასათავისუფლებელი პირის (ამ შემთხვევაში, რობერტ სტურუასძსამსახურიდან დათხოვნის მიზეზები არ დააკონკრეტა. ამის მიუხედავად, ამ მშრალი განაჩენითაც დასტურდება, რომ დიდი რეჟისორის ცხოვრებაში რაღაც დამთავრდა. გათავისუფლების ბრძანებაში არსებული ხარვეზი რურუამ მოგვიანებით ბათუმში მიცემულ ინტერვიუში სიტყვიერად შეავსო და აღნიშნა, რომ სტურუა ქსენოფობიური გამონათქვამის გამო გაუშვეს. ახლა სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტის გაუქმებასაც აპირებენ, რაც თეატრისთვის წარმოუდგენლად ეჩვენება და ფიქრობს, რომ ამ თანამდებობის გაუქმება მისი გათავისუფლების გასამართლებლად მოიგონეს.

რასიზმის თემა კვლავაც აქტუალურია სტურუასთან მიმართებით. ეცინება, როცა საკუთარ თავს რასისტად წარმოიდგენს. არადა, სურდა, საქართველოს პრეზიდენტად ქართველი ეხილა. თუ რომელიმე რუსი ან თუნდაც სომეხი, თანახმა იქნება, ქართველი ჰყავდეს პრეზიდენტად, მზადაა, ბოდიში მოიხადოს, მაგრამ ასეთი რუსი და სომეხი არ ეგულება. ახსენდება, კანის ფესტივალზე რეჟისორ ლარს ფონ ტრიერის



შეუწყნარებელი გამონათქვამი, რითაც ჰიტლერის იდეების მხარდამჭერად გამოაცხადეს, თუმცა რეჟისორმა იქვე მიაყოლა: ღმერთო ჩემო, ეს რა ვთქვიო. სტურუასაც არ უნდოდა, მისი ნათქვამი მცდარად გაეგოთ, რადგან ინტერნაციონალურ ქალაქში გაიზარდა, სადაც სინაგოგა, მეჩეთი, ქართული და სომხური ეკლესიები გვერდიგვერდაა, მეგობრები და ბიცოლა კი სომეხი ჰყავდა, სომხურად ახლაც შეუძლია ლაპარაკი, თუმცა სომხური ენის ცოდნაში გამოცდის ჩასაბარებლად დღეს მზად არაა. მიაჩნია, რომ რაც არ უნდა კარგად გამოიკვლიონ მისი ნათქვამი, ეს მაინც არ იყო საფუძველი მის მოსახსნელად. ახსენდება ანდერსენის ზღაპარი: მეფე შიშველია, მაგრამ ვერავინ ჰკადრებს, უთხრას სიმართლე. ეს მანამდე გრძელდება, სანამ პატარა ბავშვი არ შენიშნავს მის სიშიშვლეს და ვერ შეიკავებს სიცილს. მიაჩნია, რომ სიმართლის თქმას დღეს ბევრი ვერ ბედავს.

რუსეთში წასვლისგან აქამდე თავს იკავებდა, რადგან პროცესის კულმინაციამდე მიყვანას ელოდებოდა. თუმცა, როგორი იქნება კულმინაცია, არ აკონკრეტებს. გარდა ამისა, იყო კიდევ ერთი უმთავრესი პრობლემა, რის გამოც ქართული თეატრი არ ეთმობოდა. კერძოდ, ქართულ ენასთან განშორება, რადგან ამიერიდან სპექტაკლების ქართულად დადგმა აღარ მოუწევს. ქართული ენა კი მისთვის ძვირფასია.

რობერტ სტურუას ძალიან კარგად ესმის, რომ ზოგიერთები მისგან ითხოვენ, გაიმეოროს თუნდაც მურთაზ ხურცილავას საქციელი, როცა ინტრიგების გამო ქართულ ფეხბურთს ჩამოცილებულმა ფეხბურთელმა რუსეთში სოლიდური შეთავაზებები მიიღო, თუმცა იქ წასვლაზე უარი განაცხადა, ქუთაისის „ტორპედოში“ დარჩა და უფრო მეტი პატივისცემა დაიმსახურა. **„გმირი ვერ გავხდები, მაგრამ უნებურად, უკვე მაქციეს გმირად“,** — აღნიშნა სტურუამ.

სტურუა მიიჩნევს, რომ რუსთაველის თეატრში ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც მსოფლიოს სხვა თეატრებში, სადაც კარგ სპექტაკლებს ცვლის არც თუ ისე კარგი სპექტაკლები... მაგრამ, მისი აზრით, ცუდ სპექტაკლებშიც კი თეატრმა უნდა შეინარჩუნოს გარკვეული დონე. რუსთაველის თეატრმა 70-80-იან წლებში გაითქვა სახელი, როცა იქ „კავკასიური ცარცის წრე“ დაიდგა; სტურუასთვის ეფემერულია რეჟისორისა და მსახიობის მოღვაწეობა, ჩვეულებრივი ფირი კი ძნელად გადმოსცემს სპექტაკლის ვირტუალობას.

„ფეისბუკის“ მეგობრებზეც თავისი შეხედულება აქვს. სტურუას 5 ათასამდე „ფეისბუკელი“ მეგობარი აღმოაჩნდა, მათ შორის, არიან ლამაზი გოგონებიც. რეჟისორი წუხს, რომ გვიან გამოიგონეს ეს ყველაფერი...

ესმის, რომ მსახიობობა დამოკიდებული პროფესიაა. ამდენად, მას შეუძლია, გაუგოს იმ მსახიობებს, რომლებმაც ამ კრიტიკულ დღეებში მის გვერდით დადგომა ვერ გაბედეს. **„ნორმალურად შევხვდები იმ ფაქტს, თუ ყველა მსახიობი მხარს არ დამიჭერს. რადგან მძიმეა, ელოდები, როდის მოგცემენ როლს. ეს დამოკიდებული პროფესიაა.“**

საქართველოში დემოკრატიაზე საუბრისას ძველი ანეკდოტი ახსენდება, ოღონდ ამჯერად, ჯორჯ ბუშის მონაწილეობით: ამერიკაში, თეთრ სახლთან დემონსტრაციაა, ისმის შეძახილები „ძირს ბუში!“, ამერიკელები გრძნობენ საკუთარ უპირატესობას დამონებულ საბჭოელებთან მიმართებით და ინტერესდებიან, რა ხარისხის დემოკრატიაა საბჭოთა კავშირში. ხოლო საბჭოელი მოქალაქე პასუხობს ამერიკელს: გამოდით წითელ მოედანზე, იყვირეთ „ძირს ბუში!“ და არავინ დაგიჭერთო. სტურუას არ მოსწონს, როცა რუსეთში ნომერ მეორე მტრად, ამერიკელის შემდეგ, ქართველი მიაჩნიათ. თანაც რუსებს რატომღაც ჰგონიათ, რომ მათი მტრები ქართველები 40 ათასნი არიან და არა რაღაც სულ 4 ათასნი.

**„აი, სადამდე მივედით!“** — აცხადებს რეჟისორი.

**„ძალიანაც რომ მინდოდეს თეატრში დაბრუნება, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ეს კავშირი დამთავრდა. დამთავრდა ძალიან ლამაზად და, საბედნიეროდ, სისხლიანად არ დასრულდა, როგორც 37 წელს, როცა ჩვენი გენიალური რეჟისორი ახმეტელი დახვრიტეს,“** — აღნიშნა მაესტრომ.

რობერტ სტურუა იმ დღეს იხსენებს, როცა მას თეატრიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება მიუტანეს. იმ წუთას იგი სიგარეტს აბოლებდა, კვამლი თვალში მოხვდა, ბრძანების მიმტანს კი ეგონა, რომ ტიროდა. სტურუამაც კარგად მოირგო ეს როლი, ცოტა ითამაშა კიდეც, თითქოს გათავისუფლების ბრძანებამ მასზე ძლიერ იმოქმედა. ამიტომ მას უმალ შეუსრულეს თხოვნა და სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ტექსტის მობილურით გადაღების უფლება დართეს, მანაც ეს ტექსტი „ფეისბუკზე“ დადო.

**„გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია მაშინვე ისე არ განმიცდია, როგორც უნდა განეცადა ნორმალურ ადამიანს. როგორც ჩანს, არანორმალური ვარ.“**

მიიჩნევს, რომ პოლიტკორექტულობა ზოგჯერ ფარისევლობასა და სიცრუეს ემსგავსება. შავკანიანების შესახებ მის მიერ გამოთქმული სიტყვები კი მხოლოდ იმის გამოხატულებაა, რომ რასიზმი ორმხრივია. მარტო თეთრკანიანების მხრიდან კი არ ხდება შავკანიანთა იგნორირება, არამედ პირიქითაც. ამის დასტურად მისთვის საყვარელი შავკანიანი ჯაზმენის მაილს დევისის მაგალითი მოაქვს, რომელმაც სხვა თეთრკანიანი ცნობილი ჯაზმენი გააგდო, ამ უკანასკნელმა კი თავისი კარიერა ფანჯრიდან გადახტომით დაასრულა. „შეილოკს“ რომ დგამდა, სწორედ რასიზმის შესახებ ამახვილებდა ყურადღებას, რადგან მიაჩნდა, თუ სენს დავფარავთ, ვერასდროს განვიკურნებით.

**„ობამა არ დაბადებულა ამერიკაშიო, როცა თქვეს, ცოტა ხნის განმავლობაში ამას დუმილი მოჰყვა. თუმცა მოგვიანებით, დოკუმენტები დადეს და დაამტკიცეს, სადაც დაიბადა ობამა“,** — აცხადებს რეჟისორი.

სრულ სისულელედ მიიჩნევს, როცა ეუბნებიან, რომ რუსთაველის თეატრში საკუთარი კარიერის დასასრულისთვის „დადგმული ბოლოდროინდელი სპექტაკლის“ რეჟისორი თავადაა და ხელისუფლებაც ამ სპექტაკლის უნებლიე მონაწილე აღმოჩნდა.

**„ცხოვრება რთულია. როცა სადმე რაიმე ისტორიული მოვლენა ხდება, ზოგიერთი ამას უკავშირებს წინასწარ დაგეგმილ სცენარს. თუმცა წინასწარი სცენარების არ მჯერა,“** — ასეთია რობერტ სტურუას პოზიცია.

მომხდარის მიუხედავად, თავს ბედნიერ კაცად მიიჩნევს, რადგან ყოველთვის აკეთებდა იმას, რაც სურდა და ხშირად არ მიდიოდა კომპრომისზე. თუმცა საბოლოოდ, ადამიანს ყველაფერი სწყინდება და ცხოვრებაში რაღაცის შეცვლა სურს. ასეთი ეტაპი კი ახლა დადგა მის ცხოვრებაში.

**მანანა ნოზაძე**

ინფორმაცია

## ინკლუზიური განათლების პედაგოგები ისრაელში გადამზადდებიან

**საქართველოში ისრაელის საელჩოს ინიციატივით, 5 ქართველი პედაგოგი ინკლუზიური განათლების საკითხებზე მაშავის ცენტრის მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ და ისრაელის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იცხაკ გერბერგმა ბრიფინგი გამართეს.**

**სამკვირიანი სასწავლო პროგრამა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ინტეგრაცია საგანმანათლებლო გარემოში — ქალაქ თელ-ავივში გაიმართება. პროგრამაში მონაწილე კანდიდატები კონკურსის გზით შეირჩნენ. ისრაელში თბილისიდან და საქართველოს რეგიონებიდან ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში ჩართული პედაგოგები გაემგზავრებიან.**

**საქართველოში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი (მაშავი) ისრაელში წამყვან სასწავლო დაწესებულებებში ორგანიზებულ კურსებზე მონაწილეობით, ხელს უწყობს ქართველი სპეციალისტების კვალიფიკაციის ზრდას. ითვალისწინებს რა, ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმას, 2011 წელს საქართველოში მაშავის ცენტრის პროგრამებს შორის განათლება და საზოგადოებრივი განვითარება პრიორიტეტულია.**

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამ სოფელს სახელი გადაერქვა

**აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა „ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელწოდების გადარქმევის შესახებ“ ბრძანებას ხელი უკვე მოაწერა.**

**ბრძანების თანახმად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წითელწყაროს — „ხორნაბუჯი“, სოფელ ჯაფარიძეს — „სამრეკლო“, სოფელ ლენინოვკას კი — „ჭოეთი“ ეწოდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

გლობუსი

# როცა პიროვნული სძლევს საქვეყნოს

**აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობა ორი წელია რომ გასცდა არასასურველ ზღვარს ანუ ნეგატიურიდან პოზიტიურში გადავიდა, ცნობილი ფაქტია, რაც მსოფლიო პოლიტიკით დაინტერესებულ პირთა შორის ეჭვს არ იწვევს. დასავლელი ექსპერტებიც შესაბამისად აფასებენ მოვლენებს, ვინაიდან მათთვის დღევანდელი დათბობის ტენდენცია გაცილებით მისასალმებელია, ვიდრე ცივი ომი. ქართული პოლიტიკა ცდილობს, არაფრად ჩააგდოს არსებული რეალობა და მისთვის ჩვეული თვალთმაქცობით, ტყუილებით ძალას არ იშურებს საზოგადოების საწინააღმდეგოში დარწმუნებისთვის. ქართული პოლიტიკა და პოლიტოლოგია უნიკალურია, რაც უპირველესად განპირობებულია მოჩვენებით-იძულებითი პატრიოტიზმით. აღნიშნულს ემატება ტრადიციული უვიცობა — ესოდენ თვალშისაცემი დამოუკიდებლობის წლებისათვის. უსმენ პოლიტიკოს-პოლიტოლოგთა მოსაზრებებს და ფიქრობ ყოველივე რით არის გამოწვეული?**




ფსევდო პატრიოტიზმის წყარო პრეზიდენტია და მისი პიროვნებით გამოწვეული შიში. არ იტყვი ისე, როგორც მას სურს და როგორც მოარული ხმები გვამცნობენ მობილური ან უფრო მყარი საგანი არ ასცდება შერისხულ სახეს. პრეზიდენტ-ხელქვეითთა ურთიერთობა ქმნის იმ საარაკო „ერთსულოვნებას“, ესოდენ დამახასიათებელს ხელისუფლება-ნაცმოძრაობისათვის. სწორედ ეს კოლექტიური მოსაზრება გვამცნობს ამერიკა-რუსეთის დაპირისპირებაზე. სააკაშვილის მიერ დაქოქილ-დაშინებული ტელეკომპანიები ერთმანეთს ეჯიბრებიან ნომერ პირველი მტრის, რუსეთის გაკიცხვა-ლაფით ამოსვრაში. პროცესი საშური ენთუზიაზმით მიმდინარეობს და როდესაც „გრანდიოზულ“, თანაც „საშვილიშვილო“ საქმესთან გაქვს საქმე. — თითო-ოროლა შეცდომა რა მოსატანია. მერე რა, რომ დღევანდელი ნათქვამი მკვეთრად განსხვავდება გუშინდელისგან. არც ის არის გასაკვირი, რომ ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება არავითარ რეაქციას აღარ იწვევს საზოგადოებაში, არადა კატეგორიული რეაქციის შემთხვევაში იქნებ ხელისუფლება პასუხისმგებლობით მოკიდებოდა პირზე დუჟივით მომდგარ სისულელეთა ფრქვევას.

**ანაკლიაში გამოსვლა ამის დასტურია. პრეზიდენტმა ისეთი „ქათიანურები“ თქვა „ცალკალოშა“ რუსეთზე უკეთესს რომ ვერ ინატრებდა სეირის მოსურნე ადამიანი. არადა, რამდენიმე დღით ადრე იმავე „ცალკალოშას“ ტვინს უბურღავდა უპირობო დიალოგის დაწყებაზე. სააკაშვილის დიპლომატიის მიხედვით მოწინააღმდეგის მოსალაპარაკებელ მაგიდასთან დასმა მხოლოდ ლანძღვა-გინებაზე გადის. ეს ახალი სიტყვაა მსოფლიო დიპლომატიაში.**

მამა-მარჩენალს, სწორედ ასეთია სააკაშვილი ბაქრაძისათვის, არც სპიკერი ჩამორჩა. მან დაცინვით მოიხსენია აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნები — შეარქვა რა მას კლანთაშორისი ბრძოლა. მან ისიც თქვა, რომ არჩევნები ლეგიტიმურად არ ჩაითვლება ვინაიდან მასში დევნილები არ ილებდნენ მონაწილეობას. ამ განცხადებიდან არცთუ დიდი ხნის წინ სპიკერი მოუწოდებდა აფხაზებს დიალოგისკენ. ბაქრაძეს, რომ აფხაზეთში ჩატარებული არჩევნები არალეგიტიმური ჰგონია მრავალი სხვა ლეგიტიმურად თვლის და დამკვირვებლებსაც აგზავნის, მათ შორის ევროპარლამენტარებს.

ისე არ იფიქროთ თითქოს პრეზიდენტი და მისი გუნდი ენერგიას იშურებდეს „საქვეყნო“ საქმისათვის, პირიქით არც თავს და არც ხალხის ფულს ზოგავენ ქვეყნისათვის ანუ საკუთარი თავისთვის. რუსეთთან დაპირისპირებას ოკეანის გადაღმელთა თვალში მისთვის გმირის იმიჯი მოაქვს, რაც ზედმიწევნით კარგად იცის მან და მისმა გუნდმა, ოღონდ რა მოაქვს ამას ქვეყნისათვის, ყველასთვის ნათელია. მარტო დაკარგული ტერიტორიები რად ღირს.

ამერიკა-რუსეთის გაუმჯობესებული ურთიერთობის პარალელურად აქტიურდება საწინააღმდეგო მოძრაობაც, განსაკუთრებით კონგრესის არჩევნების შემდეგ. საპრეზიდენტო არჩევნებში გამანადგურებელი დამარცხების შემდეგ რესპუბლიკელებმა ძალა მოიკრიბეს და საპარლამენტო არჩევნები მოგებით დაასრულეს. რესპუბლიკური უმრავლესობა კონგრესისა და თეთრი სახლის დაპირისპირების მთავარი გენერატორი გახდა და ახალ გეგმებს სახავს მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების წარმატებით დასრულებისთვის. კონგრესი მარტო არ არის, მას ზურგს უმაგრებს რუსეთის წინააღმდეგ მუდამ ნეგატიურად განწყობილი რეაქციული წრეები. მათი მიზანი ერთია — გადატვირთვის პროცესის ჩაშლა, რუსეთის წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარება, აშშ-რუსეთს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების (სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შემცირებაძ რევიზია, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის არ შეშვება, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსება და სხვა. პოლიტიკოსთა ეს ნაწილი, რუსული საგაზით, ობამას ებრძვის ანუ იმ პოლიტიკას, რომელსაც „გადატვირთვა“ ქვია და რომლის ავტორიც პრეზიდენტი ობამაა. ეს პროექტი ყველაზე წარმატებულია ობამას საგარეო პროექტებს შორის. და მართლაც თანამშრომლობა ავღანეთთან მიმართებაში, მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბირთვული შეიარაღების შემცირებაში, სხვა საკითხებში ფასდაუდებელია, თუმცა თეთრი სახლისათვის ბრძოლის დროს წარმატების წარუმატებლობად მონათვლაც ჩვეულებადაა ქცეული. სწორედ ამ წრეების დავალებით ქართული მხარე ხმალამოღებული ებრძვის რუსეთს. ის ზედმიწევნით გულმოდგინედ ასრულებს შეკვეთებს, ხშირად თვითონაც იჩენს ინიციატივას, რაც ერთობ დადებითად ფასდება ოკეანისგაღმელებში.

„ნაყოფიერი“ ურთიერთობის ერთ-ერთი თვალშისაცემი მაგალითი იყო ამერიკულ „ვაშინგტონ ტაიმსში“ გამოქვეყნებული სტატია თბილისში, აშშ-ის საელჩოს კედელთან აფეთქებულ ბომბთან დაკავშირებით და ამ ტერაქტში რუსეთის სამხედრო დაზვერვის სავარაუდო მონაწილეობა. გაზეთის მიხედვით აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოხსენება განსახილველად წარედგინა კონგრესს. და ანტირუსულად განწყობილმა სენატორმა კაილმაც არ დააყოვნა — მან ტერაქტის გამო მოითხოვა რუსეთთან გადატვირთვის ნაცვლად მკაცრი პოზიციის დაკავება. ცნობისათვის, ცსს-ს განცხადებით ტერაქტის ვერსია ქართულ მხარეზე დაყრდნობით მომზადდა. მართალია ამ აჟიოტაჟის შემდეგ რუსეთის მიმართ არაერთი პოზიტიური განცხადება გაკეთდა, მათ შორის ობამას მხრიდან, რაც თავისთავად მიგვანიშნებს აშშ-ის ადმინისტრაციის მხრიდან. რუსეთთან ურთიერთობის შეუქცევადობაზე, ყოველ შემთხვევაში ბარაკ ობამას პრეზიდენტობის განმავლობაში, მაგრამ რესპუბლიკელთა ძალისხმევა მისაფუჩეჩებელი საქმე არ არის. საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი წელია დარჩენილი და მისი შედეგი ბევრად არის განპირობებული დამაჯერებელ PR-ზე.

რუსეთის ხელისუფლება ობამას გადატვირთვის პროექტს დადებითად აფასებს და მიიჩნევს, რომ თეთრი სახლის ბინადარის შეცვლის შემთხვევაში, ყოველივე ისტორიას ჩაბარდა. არის სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც, რომლებიც პიროვნულობისკენ იხრება.

რუსეთშიც მომავალ წელს საპრეზიდენტო არჩევნებია. იქ ჯერაც დაუდგენელია ტანდემიდან რომელი მიიღებს მასში მონაწილეობას. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საგრძნობი ყურადღება ექცევა საგარეო პოლიტიკას და აქედან გამომდინარე აშშ — რუსეთის ურთიერთობას. აშშ-ში მედვედევის ფიგურა გაცილებით მომხიბვლელია, ვიდრე პუტინის, დამყოლი, ლიბერალური პოლიტიკის გამო. ობამა მხარს უჭერს მედვედევს, რაც არაერთხელ აღინიშნა მისი ირიბი განცხადებების სახით. მედვედევი საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად, აგრეთვე ძლიერი ოკეანისგაღმელი პარტნიორის მხარდასაჭერად (მასაც სჭირდება მხარდაჭერაძ ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომელსაც დივიდენდები მოაქვს თეთრი სახლისთვის.

პოლიტიკაში პიროვნული ინტერესები იყო თავი და თავი, როდესაც საბჭოეთის არსებობის ბოლო წლებში გორბაჩოვმა ამერიკელი პარტნიორის სასიამოვნოდ დათმო პოზიციები, ჯერ დაშალა საბჭოთა კავშირი, შემდეგ ის თანამშრომლობა, რომელიც მას აკავშირებდა აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის, ევროპის თანამგზავრ ქვეყნებთან. დათმობა განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან, როდესაც ელცინმა, უმეტესად საკუთარი პერსონისათვის და არა ქვეყნისათვის, დასავლეთის მიმართულებით მაამებლური ნაბიჯები გადადგა, რითაც ფაქტიურად გაწირა თავისი მოკავშირეები. მარტო მილოშევიჩის მაგალითი რად ღირს, ელცინის ესტაფეტა კარგად აიტაცა მედვედევმა, მან ჯერ ირანი ჩაუშვა — ამერიკის თხოვნის გამო უშიშროების საბჭოში ანტიირანული სანქციების მხარდაჭერით, შემდეგ ლიბიის ხელისუფლების წინააღმდეგ რეზოლუციის მიღების დროს ნაცვლად ვეტოს დადებისა თავი შეიკავა, რაც თავისთავად ნიშნავდა კადაფის გაწირვას. მოსკოვმა მოლდოველ ვორონინს არ აღმოუჩინა სათანადო დახმარება არჩევნებში გამარჯვებისათვის, ხოლო ბელარუსელ ლუკაშენკოს, გამარჯვების შემდეგ არაერთხელ დაუდო ფეხი — ენერგორესურსებით მომარაგების საქმეში. არავინ იცის რას მოიმოქმედებს ის სირიის ბაშარ ასადთან მიმართებაში. ჯერჯერობით კრემლი მხარს არ უჭერს სირიის წინააღმდეგ უშიშროების საბჭოს სანქციების შემოღებას, მაგრამ მომავალში გაჰყვება კრემლი ამ გზას? ასადის დამხობის შემდეგ რუსეთის გავლენა ახლო აღმოსავლეთში მკვეთრად შემცირდება, მაგრამ რუს ლიბერალებს ნაკლებად აღელვებთ ეს. არათუ სირია, მათ საშინაო საქმეებშიც სხვა პოზიცია უკავიათ. ბოლო დროს მათი მხრიდან სულ უფრო ენერგიულად გაისმის მოწოდება ჩრდილო კავკასიის დათმობის თაობაზე. თვით რუსეთის მოსახლეობის 60 პროცენტს აქვს ასეთი აზრი. ამ ფონზე სრულიად გაუგებრად ჩანს მოსკოვის პოზიცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. **როგორც ჩანს არავითარ სადამსჯელო საპასუხო ნაბიჯს არ ექნებოდა ადგილი, რომ არა სააკაშვილის თავხედური მოქმედება, რამაც ლიბერალი მედვედევიც ჩიხში შეიყვანა და საქართველოც.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

ინფორმაცია



## გენერალმა პუკაჩმა გიორგი ღონღაძის მკვლელობის ერთ-ერთ დამკვეთად ლეონიდ კუჩმა დაასახელა

**ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობაში ბრალდებული, უკრაინის შსს-ს ყოფილი გენერალი ალექსეი პუკაჩი მკვლელობის შემკვეთებად ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას, უმაღლესი რადას მოქმედ თავმჯდომარე ვლადიმერ ლიტვინსა და შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ იური კრავჩენკოს მიიჩნევს.**

**„რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, ამის შესახებ ერთ-ერთმა დაზარალებულმა, ალექსეი პოდოლსკიმ განაცხადა. პუკაჩის სასამართლო პროცესი დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს.**

**— მან დაზუსტებით თქვა, რომ მკვლელობის დამკვეთია კუჩმა. ასევე, დაასახელა ლიტვინი და კრავჩენკო. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც ღონღაძე მოკლა, წავიდა და მკვლელობის დამკვეთებს შეხვდა. ამ შეხვედრაზე ლიტვინიც იმყოფებოდა. პუკაჩი ლიტვინს წარუდგინეს და უთხრეს — ეს ძალიან ახალგაზრდა ყმაწვილი, ჩვენი დაზვერვის უფროსია, რომელმაც ღონღაძე მოკლა, — გადასცა პუკაჩის სიტყვები ჟურნალისტებს პოდოლსკიმ.**

**ღონღაძის ქვრივის ადვოკატი ვალენტინა ტელიჩენკოს განცხადებით კი, დაკითხვისას პუკაჩმა განაცხადა, რომ ღონღაძის მოკვლით ქვეყანა სახელმწიფო გადატრიალებისგან იხსნა.**

**— პუკაჩმა თქვა, რომ 1997 წლიდან ჟურნალისტები გიორგი ღონღაძე, ალიონა პრიტულა და ალექსეი პოდოლსკი სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდნენ და ის, ღონღაძის მოკვლით უკრაინას დაეხმარა„ - განუცხადა ჟურნალისტებს ადვოკატმა.**

**ამასთან, ალექსეი პუკაჩმა ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობა უკვე აღიარა.**

**ჟურნალისტი გიორგი ღონღაძე კიევში 2000 წლის 16 სექტემბერს გაუჩინარდა. ნოემბერში მისი ცხედარი კიევის ოლქში, ქალაქ ტარაშის მახლობლად მდებარე ტყეში აღმოაჩინეს.**

**მალევე გამოქვეყნდა ფარული აუდიოჩანაწერები, რომლებიც თითქოს სახელმწიფო დაცვის ყოფილი მაიორის ნიკოლაი მელნიჩენკოს მიერ იყო ჩაწერილი, უკრაინის მაშინდელი პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას კაბინეტში. ჩანაწერზე მამაკაცი, კუჩმას მსგავსი ხმით, იძლევა განკარგულებას, ჟურნალისტებს გაუსწორდნენ. უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ გაზაფხულზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა და ლეონიდ კუჩმას ბრალი წაუყენა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის, რამაც ჟურნალისტ ღონღაძის მკვლელობა გამოიწვია.**

ჯი-ეიჩ-ენ

## ხლოვნა გულისა

**ერთი თვე საქართველოს აღმოსავლეთსა და დასავლეთში ვიმოგზაურე — პატარა ქალაქებში ვჩერდებოდი. ყველაზე დიდხანს სენაკში დავყავი. ნებისმიერ ქალაქში დღე ისე არ გავიდოდა, რომ გული არ მტკენოდა... მაგრამ, სანამ პატარა ქალაქების სამწუხარო დღევანდელობაზე გადავიდოდე, ერთ ამბავს მოვყვები არც ისე შორეული წარსულიდან, რომელიც ერთი სენაკელი ადამიანის ისტორიაა...**

# რა დააშავა პატარა ქალაქმა?



პატარა ქართულ ქალაქ სენაკში (მაშინდელ მიხა ცხაკაიაში) რომ ჩამოვიდა — ის სულ ახალგაზრდა გოგონა იყო. გაოცებულმა სენაკელებმა სიფრთხილით აღიქვეს ახალჩამოსული — მხატვარი, საქართველოში, მის ისტორიასა და კულტურაში წიგნების მეშვეობით შეყვარებული და ადგილობრივ ხალიჩების კომბინატში მუშაობის მოსურნე პოლონელი ქალწული... სენაკელებისთვის უცნაურად გამოიყურებოდა ყოველივე ეს — პოლონეთის შესახებაც ბევრი არაფერი იცოდა ხალხმა. მისი ამბავი ახლაც თითქმის არავინ იცის დაწვრილებით — ალბათ საჭიროდ არ მიიჩნია მოეყოლა, როგორ გადაუარა მის ოჯახს რიბენტროპ-მოლოტოვის ფარულმა პაქტმა, როგორ იგემა ამ ოჯახმა ორმაგი ოკუპაცია, საბოლოოდ როგორ გაიფანტნენ სხვადასხვა ქვეყნებში ამ ოჯახის წევრები და რა ბედის „ოხუნჯობით" აღმოჩნდა ის, თითქმის ბავშვი, შეცვლილი სახელითა და გვარით, საბჭოთა ზონაში — კავშირში...

სამეგრელოში ოჯახური კერის შექმნამაც ვერ გადაწყვიტა ყველა მისი ცხოვრებისეული პრობლემა: ადგილობრივი ცხოვრების წესისა და ადათ-ჩვეულებების შესისხლხორცება, ორ თუ სამ, მისთვის ახალ ენაზე ალაპარაკება, გარემოცვის ყოველდღიურობის საკუთარ პრიზმაში გატარება და ყოველივე ამის გათავისება ადვილი არ აღმოჩნდა — მან ამას მთელი ცხოვრება შეალია.

ნადეჟდა გვაძაბია — საქართველოს დამსახურებული მხატვარი და ხალიჩების კომბინატის მთავარი მხატვარიც გახლდათ. ამავე დროს: ხალიჩების და გობელენების შემქმნელი გრაფიკოსი და აკვარელისტი, რომელიც მონაწილეობდა მრავალ რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენაში თბილისში, მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში (მაშინდელ ლენინგრადში), თურქეთსა და საფრანგეთში, შვეიცარიასა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, დასავლეთ გერმანიასა და მშობლიურ პოლონეთში. სენაკი ამაყობდა: ის წარმატებით წარმოადგენდა საზღვარგარეთ საქართველოს მხატვართა კავშირს, მსუბუქი მრეწველობისა და კულტურის სამინისტროებს და... პატარა სენაკს.

ეს უცნაური, სამართლიანობისმოყვარე, უაღრესად შრომისმოყვარე, თანამგრძნობი, საქმიანი და, ამავე დროს, გასაოცრად ქალური, გულუბრყვილო არსება შეიყვარა მთელმა სამეგრელომ. მასზე მონაყოლმა დამარწმუნა: ნადეჟდა ნათელი მოვლენა გახლდათ და სენაკის აღქმა მის გარეშე შეუძლებელი იყო. მასზე ნაამბობმა იმაშიც დამარწმუნა, რომ გზა, რომელიც მან განვლო, არ იყო ვარდებით ფენილი, მაგრამ ასეთია მხატვრისა და შემოქმედის ცხოვრების ორგანული, ბუნებრივი არსი. მისმა ვნებით აღსავსე ნატურამ თითქოს განსჭვრიტა ჩვენი უახლესი ისტორიის მოვლენები: საბჭოთა კავშირის დაშლა, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, ქაოსი და ნგრევა, რევოლუციური დუღილი ადამიანთა გონებაში — ახალი ეპოქის დასაწყისი...

ერის მეხსიერება უფრო მდგრადი ფენომენია, ვიდრე მეხსიერება სახელმწიფოსი, ხელისუფლებისა — ასე იყო ოდითგან... სენაკში დღესაც, მისი გარდაცვალებიდან მრავალი წლის შემდგომ სიყვარულით იგონებენ მას, ამ არაორდინარული ქალბატონის მრავალ საქციელს — ის ქალაქის მატიანის განუყოფელი ნაწილი გახდა: კეთილის შერკინებისა ბოროტებასთან — კეთილის მიერ ბოროტების ძლევის სიმბოლოდ, ეპოსის ნაწილად იქცა.

ხელისუფლებას აღარაფერი ახსოვს. პანი ნადეჟდას (როგორც მას დიდი და პატარა მოიხსენიებდა), მძიმე ავადმყოფობის პერიოდში დაიწყო კომბინატის დაშლა — გერმანული დაზგები ჩუმ-ჩუმად გაყიდეს... გარდაცვალების შემდეგ კი კომბინატი საბოლოოდ დაეცა, მასთან ერთად გაქრა მრეწველობის მთელი დარგი, ეროვნული ტრადიცია, ხალხური შემოქმედების მძლავრი ძარღვი. სამწუხაროდ ასეთი რამ, ჩვენს უმოწყალო დროში, ხშირად ხდება — აღმოჩნდა, რომ პანი ნადეჟდაზე იყო ყველაფერი დამყარებული.

მაგრამ ეს ერთგვარი პათოსურ-ლირიკული ნაამბობი არ ჩრდილავს სადღეისო დიდ პრობლემას — პატარა ქალაქების „პატარა" ტრაგედიებს.

როდესაც პატარა ქალაქი, თავის არსებობას ამართლებდა — რაღაცას აწარმოებდა და ქვეყნის ეკონომიკის სულ მცირე, მაგრამ მაინც მისი შემადგენელი ნაწილი იყო — რამდენიმე ათეული ათასი მაცხოვრებლის ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური მდგომარეობა გაცილებით გასაგები და წინასწარ გასათვლელიც იყო.

მაგალითად, რა იყო სენაკი ადრე? ქალაქი, რომელსაც იცნობდნენ: ხალიჩების კომბინატით (საბჭოთა კავშირში ასეთი სულ სამი იყო); შორიახლოს მდებარე აგურის ქარხნით; პატარა აეროპორტით; ხორბლის გადასამუშავებელი საწარმოთი და საყოველთაოდ ცნობილი სამკურნალო კურორტით — „მენჯით", მისი თერმული წყლებით და ტალახებით.

საზოგადოდ, ყველა ასეთი ტიპის ქალაქი ნახევრად სოფლური, ნახევრად ქალაქური ცხოვრებით არსებობდა. სოფლური ცხოვრების უნარ-ჩვევა რჩებოდა ოჯახში, ნათესაურმეგობრულ ურთიერთობებში, ხოლო ქალაქური ცხოვრების წესჩვეულებები — სამსახურში, წარმოებასთან, სახელმწიფოსთან ურთიერთობებში იდგამდა ფესვებს. რასაკვირველია, მთლიანობაში, საბჭოთა ყოფა იყო მრუდე სარკესავით არანორმალური, მაგრამ ადამიანის ფსიქოლოგიური მდგრადობა ერთგვარ საყრდენს პოულობდა. ახალმა ცხოვრებამ ეს ფსიქოლოგიური მდგრადობა შეარყია, მაგრამ სანაცვლოდ ჯერ არაფერი შეუთავაზებია.

დღეს ამ პატარა ქალაქებში მცხოვრებნი შინაგანად გაუგებრობით არიან მოცულნი: ქალაქია, მაგრამ ამავე დროს ქალაქიც აღარაა, არც სოფელია — აბა რა არის?!

სენაკის და სხვა მრავალის სავაჭრო სეგმენტი (კერძო პატარა მაღაზიები ან სულაც ერთი ბეწო დახლები) დომინანტურია, უფრო სწორად, ის („სავაჭრო სეგმენტი"), თითქმის ერთადერთია. არსებობა-გადარჩენისთვის ბრძოლაში სხვადასხვა საქონლის ყიდვა-გადაყიდვის პრინციპი მოსახლეობის უმრავლესობისთვის ერთადერთ საშუალებად იქცა. ასეთ „ეკონომიკას" დიდი სიცოცხლე არ უწერია — ეს პატარა ქალაქები არ დგანან სავაჭრო გზების გასაყარზე და არც ზღვის პირას არიან. ამ ქალაქებსაც აქვთ საკუთარი ისტორია და საკუთარი საამაყო მატიანე... დავუბრუნდეთ სენაკს, პანი ნადეჟდას.

ბევრი კი ვიცით მაგალითი თავდადებული, ლამის თავგანწირული მსახურისა ქვეყნისადმი, სადაც არ შობილხარ, არ გაზრდილხარ, ქვეყნისადმი რომელთანაც არ გაკავშირებს ეთნიკური ფესვები და რომელთანაც ჩამოსვლამდე არ გქონია არავითარი ნათესაური კავშირი? არც თუ ბევრია ამის მაგალითი. ამ შემთხვევაში საქმე თვისობრივად ასეთი ადამიანის მიერ ამ ერისა თუ ამ ქვეყნისთვის გაცემულის ხარისხშია. აქვე თავს იჩენს მეორე, ძალზე მნიშვნელოვანი ასპექტი — როგორ ახსოვს ხალხს და რამდენად მადლიერია ის ამ ადამიანის მემკვიდრეობისა, ადამიანისა, რომელმაც „ახალ სამშობლოს" მიუძღვნა მთელი თავისი არსება. ეს ფუჭი კითხვა არ არის. ამ კითხვაზე პასუხს შეუძლია ახსნას უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი არა მხოლოდ ცნებისა „ერი", არამედ ყოველივესი, რაც ამ ეთნიკურ ერთობას აქვს: ისტორიული სიმტკიცე, ეთნიკური სიცოცხლისუნარიანობა და მთელი რიგი ფასეულობებისა, რომელნიც ღრმა წარსულიდან მოსდგამს მას და რომელნიც მომავლის იმედს ამკვიდრებენ.

ჩემ მიერ ნანახ ყველა პატარა ქალაქზე ბევრი მშვენიერი ამბის მოყოლა შეიძლება, მაგრამ ამ ქალაქების სახელით, ჯერ უთქმელი სევდის გამოსახატავად, როგორც ულიმარი დღევანდელობის მკვეთრი მაგალითი, დავასრულებ ისევ პანი ნადეჟდათი: ეპატიება კი ხელისუფლებას ასეთი ადამიანების დავიწყება? ჩვენი ეროვნული კულტურის ნაწილის დასამარება? ნუთუ არ დადგა დრო ხალიჩის ქსოვის ტრადიციის აღორძინებისა? ნუთუ არ დადგა დრო მიენიჭოს აღორძინებულ ხალიჩის ფაბრიკას ნადეჟდა გვაძაბიას სახელი? ვფიქრობ, ეს ყოველი ჩვენგანის, სრულიად საქართველოს ვალია.

**მალხაზ ჟვანია**

## ასეც ფიქრობენ

**ეს შეგონება თქვენ გეხებათ, ხელისუფლების სათავეში ეგრეთ წოდებული ვარდების რევოლუციის შედეგად მოსულო ნაციონალნო და ყოვლის წინ, სულ მთავარო ნაციონალო, ბატონო ქვეყნის პრეზიდენტო; ეგრეთ წოდებულისა იმად, რომ სახელწოდება „ვარდების რევოლუცია" სრულიად ხელოვნურადა და თავს მოხვევითაა დამკვიდრებული და 2003 წლის ნოემბერში მომხდარს ვარდებთან არცრა საერთო აქვს-რა, როგორც მე მგონია და უფრორე „შევარდნების რევოლუცია" მოუხდება — ისევ ჩემი აზრით...**

# წარსულს, თუნდაც კომუნისტურს, ეგზომ უპატივცემულოდ არ უნდა ვეკიდებოდეთ!..

სავალალო ისიცაა, რომ მარტო საბჭოურ ხანას, ბოლშევიკურსა თუ კომუნისტურს კი არ ამცირებთ, ალაზღანდარავებთ, არამედ უღიერად ეპყრობით ბედკრული საქართველოს კიდევ მეტად შორეული, სიღრმისეული ისტორიის ობიექტებსაც, მაგალითებად კმარა თუნდაც „ნძრევაი საკვირველი" — დიდთა ძეგლთა შენძრევა, აგორება თუ გადატან-გადმოტანა, დავით აღმაშენებლისა იქნება, ილია ჭავჭავაძისა თუ მემედ აბაშიძისა; ანდა თვით ძლევაი საკვირველის ეჭვქვეშ დაყენება — დიდგორის ველზე ამდენი და ამდენი მეომარი ვერ დაეტეოდაო; თითქოს გასაყიდი მიწის ფართობივით გქონდეთ კვადრატული მეტრობით გამოზომილი... სხვა მაგალითების მოხმობაც არ გამიჭირდება...

საბჭოთა კავშირსა და იმის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნას რაც შეეხება, საბჭოურ პერიოდს რაც შეეხება, დავიწყოთ იქიდან, რომ იმ დროში ცხოვრობდნენ და ილვწოდნენ ბებიათქვენები და ბაბუათქვენები, სულაც დედათქვენები და მამათქვენები, ნორმალურად ცხოვრობდნენ და წარმატებითაც საქმიანობდნენ, დიდად არ უჩიოდნენ ბედსა; დიახაც, იგი საბჭოური ეპოქა ბებიაშენისა და ბაბუაშენისა, ძვირფასო ნაციონალო, დედიშენისა და მამიშენისაა — მაშ შენთა წინაპართა ხათრი მაინც იქონიე და მოიხსენიე ცოტა მეტი რიდითა.

გულზე — და სხვათა შორის, კუჭზეც — ხელი დავიდოთ და ვიკითხოთ: მაშინდელი ცხოვრების დონე აიწია თუ დაიწია? რატომ გადაესხა მდუღარე წყალი იმ ხანის თვალსაჩინო მონაპოვრებს, მაგალითად, აყვავებულ მეცნიერებას, მეცნიერებათა აკადემიას — შესანიშნავ პრეზიდენტთა ხელში და რუდუნებით მსოფლიოში სახელგანსმენილს? რატომ გამოყარეს აკადემიიდან კვლევითი ინსტიტუტები და ეშმაკმა უწყის, სად შეყარეს ან სულაც რატომ გააუქმეს — განა საბჭოთა ხელისუფლება ასე ეკიდებოდა მეცნიერებას, მწერლობას, კულტურას, ხელოვნებას? რატომ გადაიხაზა იმ ხანის სხვა მონაპოვრები — უფასო სწავლა-განათლება, სამედიცინო მომსახურება, უბრალოდ, მკურნალობა; უფასო საბავშვო ბაღები, იაფი სატრანსპორტო მგზავრობა, საკვები პროდუქტების, საყოფაცხოვრებო საგნების არცთუ საგრძნობი სიძვირე, საცხოვრებელი ბინების უსასყიდლოდ გადაცემა და ბევრი სხვა რამ?

საბჭოური პერიოდისას რომ ასე ყველაფერს აქილიკებთ — მაშინ აშენებულ შენობებს კარგად დაადგით თვალი და ყიდით და ყიდით!.. ის, რაც თქვენ გამომცემლობა „სამშობლოს" შენობის წართმევით ჟურნალ-გაზეთებს, რედაქციებს, ჟურნალისტებს გაუკეთეთ, კომუნისტებისაგან წარმოსადგენია? „რომელ ჭიშკარში შეეტევა"? არადა, მერამდენე წელია, იმ „სამშობლოს" გაყიდვაც ველარ მოახერხეთ და ეშმაკებიც ვერ დაუპატრონეთ. აი, უწინწკლებო სამშობლო კი სარფიანად გაყიდეთ...

კი ბატონო, საბჭოურ ხანას გასაკიცხი, საძრახისი მხარეც არაერთი ახლდა, მაგრამ აბა კაცობრიობის ისტორიის მთელ სიგრძეზე დამისახელეთ ისეთი წყობა, საზოგადოებრივი წყობილება, სახელმწიფო, სადაც მხოლოდ ნათელი იდგა, განცხრომა სუფევდა, რომელიც „პლუსებთან" ერთად „მინუსებისგანაც" არ შედგებოდა და ვინ იცის, რა სჭარბობდა...

განა მაშინდელი პარტიული ან საბჭოთა ბოსები მისცემდნენ თავს იმისთანა ფუფუნებით ცხოვრების ნებას, იგრიალებდნენ ისე, როგორც ახლა თქვენ, ნაციონალო ბოსებო და წინ ყოველთა, სულ პირველო ბოსო? რომელი მაშინდელი ხელმძღვანელი რესპუბლიკისა, რომელი პირველი მდივანი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა ივლიდა ამ სიგრძე ან ამაზე გრძელი დაცვა-კორტეჟით; წამოჭიმავდა საკუთარ რეზიდენციად რვაასმილიონიან (დოლარებში!) სრა-სახლს; შეიძენდა 160-მილიონიან (ისევ დოლარებში!) ლაინერს, რომელსაც აგრე ხშირ-ხშირადააფრენდა და გააფრენდა; ასევე ხშირად ჩამოიყვანდა მილიონ-მილიონიან მომღერლებს, კინოვარსკვლავებს, მასაჟისტებს; გარშემო შემოიმტკიცებდა სასურველ, „სპეციფიკურ" ქალთა სამინისტრო კადრებს; ახლა რომ არის, იმგვარ სოციალურ ფონზე, ახლა რომ არის, იმგვარ ქვეყანაში გამართავდა გაუთავებელ ზეიმებს, კონცერტებს, ფესტივალებს და კიდევ რასა და კიდევ რას? რასაა, რომ სჩადიხართ, ნაციონალო ბატონებო და ქალბატონებო!..

იმ სამგზის წყეულ დროში გადასახადები ასე მაღალი იყო? არქივიდან რაღაც საბუთების მოცემაში 50 მანეთს გვართმევდნენ (ახლა რომ 50 ლარია)? ელექტროენერგიის დანახარჯს კილოვატ-ნაგავის ერთეულებში ვანაზღაურებდით? სასკოლო სახელმძღვანელოებში ასე ძვირს გვახდევინებდნენ? საგამოცდო ნიშნის გასაჩივრება ოთუსბირი ჯდებოდა?..

ერთი კია, სხვა საქმეა და ამას ვერ დაგიკარგავთ — რომ მაშინ ამნაირ მწვავე წერილს ვერ დავწერდი და არც გამომიქვეყნებდნენ, თუმცა ეგების არც დამჭირდებოდა...

ზოგ-ზოგთ საბჭოეთში ცხოვრება ენატრებაო, რომ მატრაბაზობთ ხოლმე — დიახაც, მენატრება იმ არათავისუფალ და დამოკიდებულ საქართველოში ყოფნა და იმიტომ მენატრება, რომ მზიური აფხაზეთი ჩემი იყო, „ცხინვალეთი" (რახან „სამხრეთ ოსეთი" არ მოგვწონს) ჩემი იყო და ამგვარ ყოფაშიც არ გახლდით; სწორედ ამიტომაც ჩემდათავად ვიმეორებ, ჩემდათავად, შემირცხვენია ისეთი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ამდენ ტერიტორიას რომ დამაკარგვინებს და ასეთ დღეში ჩამაგდებს. ვთქვი მე ეს აქ...

**ბერდია ბედოიძე**

**განსჯა**

# ცხინვალში სამხრეთ ოსეთისთვის სახელის გადარქმევაზე მსჯელობენ

**როგორც ოსური გაზეთი „რესპუბლიკა“ წერს, „სამხრეთ ოსეთი ახლა არა რომელიმე უცნობი რეგიონი, არამედ სახელმწიფოა, რომელიც როგორც მოსკოვში, ისე ვაშინგტონში მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებებთან ასოცირდება, განსაკუთრებით – 2008 წლის აგვისტოს შემდეგ“.**

**„იცვლება ჩვენი ცხოვრების სიმბოლოებიც. სახელმწიფო დამოუკიდებელია და შესაბამისია ატრიბუტებიც: დროშა, გერბი, კონსტიტუცია, არმია... მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მსოფლაღქმაში სახელწოდება გვანიჭებს. დამოუკიდებლობის წლების განმავლობაში ბევრი ახალი ტერმინი დამკვიდრდა, მაგრამ ყველაზე მთავარი – სამხრეთ ოსეთი – არ შეცვლილა. არადა, სახელწოდება „ოსეთი“ არა ჩვენი ერის თვითდასახელება, არამედ მეფის რუსეთის მიერ ქართული ენიდან აღებული სახელწოდებაა. შეიძლება, ბევრი ფიქრობს, რომ ეს საკითხი დღესდღეობით პრიორიტეტული არ არის და მისი გადაწყვეტა მოიცდის, თუმცა უნდა გვესმოდეს, რომ რიგი საკითხებისა, მათ შორის თვითიდენტიფიცირებასთან დაკავშირებული, სხვა პრობლემების პარალელურად შეიძლება, გადაწყდეს. „ოსეთი“ ან „ოვსეთი“ – ასე ჩვენს ქვეყანას ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში ეწოდება. რუსეთმა, რომელმაც შუა საუკუნეებში ჩვენ „იასები“ გვიწოდა, მე-17 საუკუნიდან საქართველოსთან აქტიური მიმოსვლა დაამყარა, იქ ბევრი ქართველი ემიგრანტი ჩადიოდა და ჩაჰქონდა ინფორმაცია „ოსეთის“ შესახებ და მოსკოვმაც ამ ტერმინოლოგიის გამოყენება დაიწყო. ამასთან, ჩვენი ჩრდილოეთ კავკასიელი მეზობლები ამ ტერმინს არ იცნობდნენ, აფხაზები – „აფსუებს“, ხოლო ვაინახები „ხირებს“ გვიწოდებდნენ. თავად პრემონღოლოიდური ეპოქის რუსული და დასავლეთ ევროპული ისტორიული წყაროები ქვეყანას „ალანიად“, ხოლო ერს „ალანებად“, „ასებად“ ან „იასებად“ მოიხსენიებენ. თუმცა მონღოლების შემოსევის შემდეგ ჩვენი ქვეყანა, როგორც პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეული დიდი ხნით გაქრა, შესაბამისად, რუსეთმა ჩვენს შესახებ დაივიწყა და საუკუნეების შემდეგ უკვე ახლანდელმა ქართულმა ტერმინმა იჩინა თავი“,** – წერს გამოცემა, რომლის აზრით, „სახელმწიფო ტოპონიმიკური კომისიის მუშაობაში ამ საკითხის გვერდზე დატოვება შეცდომა იყო, ვინაიდან სადავო სწორედ სახელწოდებაა“.

**„ქართველებმაც კი განიზრახეს, მიაღწიონ იმას, რომ „გრუზიას“ ნაცვლად „ჯორჯია“ უწოდონ. მართალია, ჯერ მხოლოდ სამხრეთ კორეა და ლიტვა დაეთანხმა ამ მოთხოვნას, მაგრამ თუ კიდევ რაიმე პოლიტიკურ კატაკლიზმებს არ ექნა ადგილი, ეს სახელი დამკვიდრდება. რა თქმა უნდა, ნებისმიერი სახელი თავის კარმას ატარებს, იქნება ეს ადამიანის, გემის თუ ქვეყნის. ვიმედოვნებთ, რომ მომავალი საპრეზიდენტო კანდიდატები ამ საკითხს წინასაარჩევნო პროგრამაში შეიტანენ, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის დასახელებას ისტორიული საფუძველი უნდა ჰქონდეს“,** – წერს ოსური გამოცემა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააგენტო „რესმა“ ოსური საზოგადოების ცნობილი პიროვნებები გამოკითხა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი **ნაფი ჯუსოითი** მიიჩნევს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთს **„ირისტონი“ უნდა ეწოდოს და არა „ალანია“, ვინაიდან ოსები თავს „ირონებს“ უწოდებენ“. „ჩვენ ხომ საფუძვლებზე ვლაპარაკობთ. „ალანია“ კი სწორედ „ირ“-იდან წარმოიქმნა“** – აცხადებს ჯუსოითი.

მის აზრს იზიარებს ისტორიკოსი **იური გაგლოითიც,** რომელიც ფიქრობს, რომ „ირისტონი“ უფრო ძველი სახელწოდებაა, ვიდრე ალანია“.

„ძველ ისტორიულ წყაროებში ჩვენ „ასებს“ ან „იასებს“ გვიწოდებდნენ. ამ სიტყვის ფუძეა „ას“. ასევე ცნობილია, რომ ოსი ხალხი პირდაპირი შთამომავალია ას-ალანიური კულტურისა და ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი დასახელება „ას-ალანია“ იქნებოდა“, – აცხადებს საზოგადო მოღვაწე ამირან დიაკონოვი.




ტერმინის „ას“ დასახელებაში გამოყენების მომხრეა მოძრაობის „ოსეთის უმაღლესი საბჭოს“ თავმჯდომარე **ბორის ბასაევიც,** რომლის თქმით, „ჩრდილოეთ ოსეთს სახელი ამ საიდენტიფიკაციო წინსართის გამოყენებით ეწოდა და კარგი იქნებოდა, თუ სამხრეთ ოსეთიც მსგავს პრაქტიკას მიმართავდა“.

**„იდეალურ სიტუაციაში მინდა, ჩვენს სახელმწიფოს „ალანია“ ეწოდებოდეს და ის ჩრდილოეთ ოსეთთან ერთიანი იყოს. ვფიქრობ, ამ პოზიციას ისტორიკოსები, მწერლები და უბრალო ადამიანები ემხრობიან“,** – აცხადებს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **მელიტონ კაზიევი.**

თუმცა ვინაიდან რამდენიმე ქვეყანამ ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღნიშნული სახელით აღიარა, ცხინვალში არ გამორიცხავენ, რომ მას ორმაგი სახელწოდება „სამხრეთ ოსეთი – ალანია“ დაერქვას.

შეუცვლიან თუ არა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონს ისედაც სადავო სახელს, დრო გვიჩვენებს, თუმცა ფაქტია, რომ ოსები „ისტორიულ საფუძველს“ ეძებენ, საფუძველს, რომელიც მათ ამჟამინდელ საცხოვრებელ ტერიტორიასთან – შიდა ქართლთან არანაირ კავშირში არ არის და დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიას თუ ეხება.

აღნიშნულთან დაკავშირებით „პირველი“ კავკასიის რეგიონის მკვლევარებსა და ისტორიკოსებს ესაუბრა.

ისტორიკოს **როლანდ თოფჩიშვილის** თქმით, ე.წ. სამხრეთ ოსეთი **„საქართველოს ძირძველი ტერიტორიაა და არავის აქვს უფლება, მას სახელი შეუცვალოს“. „ეს ტერიტორია ოკუპირებულია და ბუნებრივია, ცდილობენ, ყველაფერი, რაც კი ქართულია, წარხოცონ. ისტორიის ფალსიფიცირებას ახდენენ. ოსები ამ ტერიტორიაზე მხოლოდ მე-17 საუკუნის მე-2 ნახევარში დასახლდნენ. რაც შეეხება სახელწოდებებს „ირისტონს“ და „ალანია“, ისინი ე.წ. სამხრეთ ოსეთთან არანაირ კავშირში არ არის“,** – განაცხადა თოფჩიშვილმა.

კავკასიის საკითხებში ექსპერტის **მამუკა არეშიძის** აზრით კი, **„ე.წ. სამხრეთ ოსეთს „ალანიის“ ან „ირისტონის“ დარქმევის ნებას თვითონ ჩრდილოეთ ოსეთი არ მისცემს“. „ირისტონი“ ჩრდილოეთ ოსეთის საკუთარი სახელია. ის „ირიონიდან“ წარმოსდგება, „ირიონი“ კი, თავის მხრივ – „ირიონელებისგან“, რაც ბარის მაცხოვრებელს ნიშნავს. ალანებს კი სამხრეთ კავკასიაში არც უცხოვრიათ, ისინი დონისპირეთის მაცხოვრებლები იყვნენ. „ალანები“ დღესდღეობით ჩრდილოეთ ოსეთში მაცხოვრებელთა სახელწოდების ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ არც ისტორიულად და არც გეოგრაფიულად ე.წ. სამხრეთ ოსეთთან კავშირში არ არის. ასე, რომ, მათ ამ სახელწოდებებიდან რომელიმეს დარქმევა გაუჭირდებათ, ვინაიდან ამის საშუალებას ჩრდილოეთ ოსეთი არ მისცემს“,** – განუცხადა „პირველს“ არეშიძემ.

ისტორიკოს **ჯაბა სამუშიას** აზრით, **„არც ერთი ზემოაღნიშნული დასახელება ცხინვალის რეგიონს არ შეესაბამება“. „ეს არის შიდა ქართლი, ძირძველი ქართული ტერიტორია, ხოლო ალანები ამ სივრცეში საერთოდ არ ცხოვრობდნენ. ისინი ყუბანიდან დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიამდე მოსახლეობდნენ. რამდენად არიან თვითონ ოსები ალანები, სხვა საკითხია, ვინაიდან ალანებს შორისაც რამდენიმე ჯგუფი იყო. ასეა თუ ისე, ოსებს ურჩევნიათ, თავისი ნამდვილი სამშობლო დაიბრუნონ, რომელიც დღეს რუსეთის გუბერნიაა და სხვისი მიწების მიტაცებას თავი დაანებონ. ისტორიული წყაროები იქით იყოს და, ყველა ხუროთმოძღვრული ძეგლი თუ ნაგებობა ცხინვალის რეგიონში ქართულია. ოსები შიდა ქართლის მთიანეთში მხოლოდ XVII საუკუნეში დასახლდნენ. ცხინვალის რეგიონში ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მხოლოდ რამდენიმე ოსური ოჯახი ცხოვრობდა. საერთოდაც, ეს თემა უნდა დამთავრდეს. ამ მიმართულებით აუცილებელია, სახელმწიფომაც სწორი პოლიტიკა გაატაროს, თუნდაც წიგნის გამოცემას შეუწყოს ხელი და სწორი საინფორმაციო კამპანია აწარმოოს. დანარჩენი მსოფლიოსთვის ჩვენი სიმართლის დამტკიცება ძალიან ადვილია“,** – აცხადებს სამუშია და დასძენს, რომ **„ცხინვალის რეგიონისთვის ახალი სახელის მინიჭება მხოლოდ პოლიტიკური საკითხია და მას ისტორიასთან კავშირი არ აქვს“.**

თუმცა პარადოქსი იქნებოდა დანარჩენი მსოფლიოსთვის ცხინვალის რეგიონის შესახებ რეალური ინფორმაციის მხოლოდ წიგნებით მიწოდება და იმის მტკიცება, რომ სამხრეთ ოსეთად წოდებული ტერიტორია ყოველთვის საქართველოს წარმოადგენდა, ქართველებით იყო დასახლებული და ოსები იქ აბორიგენი მოსახლეობა არასოდეს ყოფილან მაშინ, როდესაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებიდან (1990 წლის 10 დეკემბერი) რამდენიმე წელიწადში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ტერმინ „სამხრეთ ოსეთს“ ხელახლა აკანონებს და ამით ამაყობს კიდეც. **„სანამ მე საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდოდი, მიიჩნევდნენ, რომ დასახელება „სამხრეთ ოსეთის“ გამოყენება თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. პირველი ვიყავი, ვინც ეს დასახელება გამოიყენა. პირველი ვიყავი, ვინც ოსებს ავტონომია შესთავაზა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი წინადადებები საქართველოში ყოველთვის სახიფათოდ მიიჩნეოდა“,** – განაცხადა სააკაშვილმა, რომელიც თვითონ ტოპონიმიკაში მსგავს საფრთხეს ვერ ხედავს, არადა, სახელი რომ ისტორიული მნიშვნელობის მატარებელია, თვითონ ისტორიაც ადასტურებს, თუნდაც – აფხაზეთის ფონზე.

**ცნობისთვის: უშუალოდ ტერმინი „სამხრეთი ოსეთი“ ცხინვალის რეგიონში ოსების მასობრივი ჩამოსახლების შემდეგ, უკვე 1860 წლიდან დასტურდება. საბჭოთა კავშირის პერიოდში რეგიონი საქართველოს სსრ-ის სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქად იწოდებოდა. 1990 წელს სეპარატისტულმა ძალებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს სახელწოდებით „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა“. 1990 წლის 10 დეკემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ ეს გადაწყვეტილება და ოლქის სტატუსი გაუქმებულ იქნა. ყოფილ ავტონომიურ ოლქს ცხინვალის რეგიონი ან სამაჩაბლო ეწოდებოდა.**

**ნინო ჩიჩუა, გვანცა ფიფია,**

„პირველი“

**რეპლიკები**

## ინიციატივა სხვადასხვაგვარია...

ამ ბოლო ხანს „საკაო“ ტელეარხებმა (და არა ტელევიზიებმა, როგორც ახლა მოდურია თქმაძ მოუხშირეს ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივებზე ლაპარაკს – ირიბი პიარის ხაზით (ავტოპიარისაგან განსხვავებით): გაიხსენეს, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი პრეზიდენტის ინიციატივით გადმოსვენდა და მთაწმინდაზე შესაფერისი პატივით დაიკრძალა; რომ ბათუმში მუსიკალური ფესტივალი პრეზიდენტის პატრონატით ეწყობა; რომ პრეზიდენტის ინიციატივით აგერ, მარიამობადღეს, ამდენი და ამდენი პატიმარი შეიწყალეს; რომ აქა და აქ აღიმართება გმირთა მემორიალები და სხვა.

კარგი და პატიოსანი, ასეთ სასიკეთო, სასიამოვნო ინიციატივებს (არ მინდა „დადებითის“ მოხმობაძ რა სჯობს, მივესალმოთ; ოღონდ იგივე პრეზიდენტი რომ ამდენ საძრახის, გასაკიცხ (არც აქ მინდა „უარყოფითის“ ხმარებაძ ინიციატივებს იჩენს, – ამას თვალი დავუხუჭოთ, წავუყრუოთ? შეწყალება კარგია, მაგრამ იმის ინიციატივით რამდენი კაცი დააპატიმრეს, დაუთვალა ვინმემ? იმისი ინიციატივით რომ უკვე აღმართული მემორიალები დაანგრიეს, ძეგლებიც დაანგრიეს ან გააგორ-გამოაგორეს, ამდენი რამე გაყიდეს თუ გაასხვისეს, ქვეყანა უამრავი არამკითხეთი გაავსეს – ეს როგორღაა?..

დიახ, ინიციატივაც არის და ინიციატივაც...

## ჭრა-კერვა დიდად შესარგი...

კაი ხანია, რაც ერთი პოპულარული და კარგად „გაყიდვადი“ ყოველკვირეული გაზეთის ყოველ ნომერში (სხვანაირად თუ ვიტყვით, სისტემატურადძ ქვეყნდება ვრცელი ინტერვიუ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან, ფართო თემატიკის მომცველი და საგულისყურო საკითხავი.

ოღონდ, „მიკვირს და გამკვირვებიაო“, რომ იტყვიან – ასევე ყოველ ნომერში, ასევე სისტემატურად, „იქვე“, სხვადასხვა წერილში გვხვდება იმავე პრეზიდენტყოფილის მრავალპლანიანი კრიტიკა, წაკბენა, ჩხვლეტა („ლანძღვა“ თუ მოვერიდებითძ: როგორც საქართველოს დამაქცეველისა, სამშობლოს გამყიდველისა, აფხაზეთის დამკარგავისა, ნაცთა გამომზრდელისა და ხელისუფლებაში მოყვანისა, ზვიად გამსახურდიას დამამხობელისა და მეტიც, მკვლელისა („სხვას არავის მოუკლავს, ეგ იყო ავტორი ამ მკვლელობისაო“ – ასეთ „გაფორმებას“ ვხვდებით სულ ბოლო ნომერში); და სხვა და სხვა (მართლაც სხვაძ.

თავს ამნაირი შეკითხვის დასმის ნებას მივცემ ყოფილი პრეზიდენტის მისამართით:

– კი მაგრამ, იმ გაზეთს თქვენც ხომ კითხულობთ (უნდა კითხულობდეთ!ძ, ბატონო ედუარდ, და ასეთი კიდეც ჭრა და კიდეც კერვა, ამგვარი ორმაგი სტანდარტი არ გეჩოთირებათ იმასთან თანამშრომლობისას? თუ ესეც დემოკრატიზმის გამოვლენად უნდა მივიჩნიოთ?

არა, მაინც სადოური წესია, ასინეთამ რომ „დათა თუთაშხიაში“ დაადგინა, იქოური?

**ბერდია ბედოიძე**

### რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## გარეშე ძალები ცდილობენ, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ურთიერთობა გააფუჭონ

**უკანასკნელ პერიოდში გამოჩნდნენ გარეშე ძალები, რომლებიც აზერბაიჯანელების პრობლემების გაბუქებით საქართველოში ცდილობენ, გააფუჭონ აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობანი, განაცხადა ორშაბათს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განყოფილების გამგემ ალი გასანოვმა, როდესაც ბათუმში გამოდიოდა კონფერენციაზე „ქართველ აზერბაიჯანელთა ინტეგრაცია აზერბაიჯან-საქართველოს თანამშრომლობის კონტექსტში“. კონფერენცია, რომელიც მიმდინარეობს აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, გაიხსნა 28 აგვისტოს.**

„არსებობენ ძალები, რომლებიც სამოქალაქო უფლებათა საბაბით ახდენენ არსებული პრობლემებით სპეკულირებას. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არ ჩადგნენ გარეშე ძალები“, – დაუმატა ალი გასანოვმა.

მისი სიტყვებით, პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებენ აზერბაიჯანისა და საქართველოს პრეზიდენტები ილჰამ ალიევი და მიხეილ სააკაშვილი, ერთი მხრივ, შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს, მეორე მხრივ – ითვალისწინებს ეთნიკურ, ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა ინტერესებს.

გასანოვის სიტყვებით, არსებობს ძალები, რომლებიც, რელიგიური მისიის ნიღბით, ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას სამხრეთ კავკასიაში.

გასანოვს მიაჩნია, რომ საჭიროა გავითვალისწინოთ სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები მთელი მოსახლეობის ინტერესები, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული რეგიონის მომავალი.

„სამხრეთი კავკასიის სამი სახელმწიფო, ბოლოს და ბოლოს, გათავისუფლდება კონფლიქტებისგან, რომლებიც შეიქმნა გარეშე ძალების მხარდაჭერითა და გავლენით.



კონფლიქტების გადაწყვეტა უნდა მიმდინარეობდეს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში, ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო უფლებების უზრუნველყოფის გზით. ჩვენ უნდა მივაღწიოთ სამხრეთი კავკასიის ქვეყნების ერთიანობას, მშვიდობას ამ ქვეყნების შიგნით და სახელმწიფოებს შორისაც. ასე შევძლებთ ჩვენ გლობალურ მსოფლიოში ინტეგრაციის გაგრძელებას“, – თქვა გასანოვმა.

მისი სიტყვებით, გასული საუკუნის 70-იან წლებში აზერბაიჯანსა და საქართველოში აზერბაიჯანულმა და ქართულმა ენებმა მიიღეს სახელმწიფო ენის სტატუსი თითოეულმა თავის ქვეყანაში.

„მაგრამ გაურკვეველი იყო, რას ნიშნავდა სახელმწიფო ენის სტატუსი, რა ენაზე უნდა გამართულიყო მოლაპარაკება სახელმწიფო ორგანოებში, რა ენაზე უნდა წარმართულიყო განათლება. ამჟამად თითოეული სახელმწიფო თავად განსაზღვრავს თავის ენობრივ პოლიტიკას. არსებობს ერთიანი სახელმწიფო ენის პოლიტიკა, რომელსაც ვახორციელებთ ჩვენც და საქართველოც.

თითოეულმა მოქალაქემ, რომელიც ცხოვრობს საქართველოში, უნდა იცოდეს ქართული ენა. მას ამას არავინ არ აიძულებს, მაგრამ ენის ცოდნა იძლევა გარკვეულ უპირატესობას. ან შენ იცი ეს ენა და წარმოადგენ ქართველებთან ერთად ამ ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურას, ან შეგიძლია ილაპარაკო საყოფაცხოვრებო დონეზე იმ ენაზე, რომელსაც შენ ფლობ. ჩვენთანაც ასეა.

ბუნებრივია, რომ აზერბაიჯანელებს აქვთ უფლება, იცოდნენ თავიანთი ენა. ვერავინ წაართმევს აზერბაიჯანელებს ამ უფლებას. მაგრამ საქართველოს საზოგადოებაში ინტეგრაცია დაკავშირებულია ქართული ენის ცოდნასთან, თანაც უკეთეს ცოდნასთან კი, ვიდრე თავად ქართველებმა იციან“, – დაუმატა გასანოვმა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლის სიტყვებით, არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია ხელყოს მოქალაქეთა რელიგიური უფლება.

კონფერენციაში მონაწილეობას ღებულობენ ასევე აზერბაიჯანის დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნაზიმ იბრაგიმოვი, ომბუდსმენი ელმირა სულეიმანოვა, დეპუტატები განირა ფაშაევა, მუსა გასიმოვი, გიულიან ახმედოვა, საქართველოს დიასპორის საკითხების სახელმწიფო მინისტრი მირზა დავითაია და ბათუმში აზერბაიჯანის გენერალური კონსული ჰუსეინ ნაჯაფოვი.

TREND

# აშშ-მა აფხაზეთის არჩევნების შედეგები უკანასკნელმა მიიჩნია არალეგიტიმურად

**შეერთებულმა შტატებმა უკანასკნელმა გააკრიტიკა პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც საქართველოს გამოყოფილ აფხაზეთის რესპუბლიკაში გაიმართა და რომელზეც გაიმარჯვა ალექსანდრ ანქვაბმა, მოქმედმა პრეზიდენტმა და ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ვინც 26 აგვისტოს არჩევნებში ხმების 54,9 პროცენტი მიიღო.**

როდესაც 29 აგვისტოს ჟურნალისტების წინაშე გამოდიოდა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა განაცხადა: შეერთებული შტატები არ ცნობენ ლეგიტიმურად საქართველოს აფხაზეთის რაიონში 26 აგვისტოს გამართული ეგრეთ წოდებული არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობას“.

ევროკავშირი და ნატოც ასევე გამოვიდნენ განცხადებებით, რომლებშიც აღნიშნეს, რომ 26 აგვისტოს კენჭისყრას არალეგიტიმურად მიიჩნევენ. აფხაზეთმა თავისი დამოუკიდებლობის შესახებ გამოაცხადა 1991 წელს, მაგრამ იგი აღიარებულია მხოლოდ პატარა ქვეყნების ჯგუფის მიერ და, საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, მიჩნეულია საქართველოს ნაწილად.

აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ანქვაბმა მოიგო არჩევნები ამომრჩეველთა 72 პროცენტის გამოცხადების დროს. მან წინ გაუსწრო პრემიერ-მინისტრს სერგეი შამბას და ოპოზიციის ლიდერს რაულ ხაჯიმბას, რომლებმაც მიიღეს შესაბამისად 21,02 და 19,82 პროცენტი – უფრო ნაკლები, ვიდრე ელოდებოდნენ. ხაჯიმბამ 27 აგვისტოს განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა არჩევნებში დარღვევებს.

თბილისმა მკაცრი რეაგირება გააკეთა არჩევნებზე იმ ტერიტორიაზე, რომელიც ოფიციალურად ყველგან საქართველოს ტერიტორიად ითვლება.

„რუსეთის საოკუპაციო ძალებმა და მათმა ნდობით აღჭურვილმა რეჟიმმა სოხუმში განახორციელეს მორიგი ფსევდოდემოკრატიული პოლიტიკის ცინიკური აქტი – ეგრეთ წოდებული „პრეზიდენტის არჩევნები“, არ აქვს არანაირი გამართლება საერთაშორისო სამართლის ამგვარ აბუჩად აგდებას“, – ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 26 აგვისტოს გესლიან და მკაცრ განცხადებაში.

### ვინ არის ის?

ანქვაბი – კომუნისტური პარტიის ყოფილი ჩინოვნიკია, რომელმაც დატოვა თბილისი, რათა შეერთებოდა ახალი აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობას მისი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. 1992-1993 წლებში ომის დროს ის მუშაობდა აფხაზეთშიც და საქართველოშიც, შემდეგ დატოვა იუსტიციის მინისტრის პოსტი და შეუერთდა ოპოზიციას, მოგვიანებით, 1990-იანი წლების შუა პერიოდში, საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა.

2000 წელს ანქვაბი დაბრუნდა აფხაზეთში და ჩამოაყალიბა ოპოზიციური მოძრაობა „აიტაირა“. მან მხარი დაუჭირა სერგეი ბაღაფშს 2004 წლის პრეზიდენტის არჩევნებში. მას შემდეგ, რაც ბაღაფში არჩეული იქნა პრეზიდენტად, მან ანქვაბი 2005 წელს დანიშნა პრემიერ-მინისტრად, 2009 წელს კი ანქვაბი გახდა ვიცე-პრეზიდენტი. უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში მას ექვსჯერ დაესხნენ თავს.



მთავარ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც აფხაზეთის წინაშე დგას, პრაქტიკულად არ არის არანაირი განსხვავება ანქვაბსა და პრეზიდენტობის ორ სხვა კანდიდატს შორის: სამივე გამოდის მტკიცედ საქართველოსთან ინტეგრაციის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ. საქართველოს საკითხებზე „გლობალ ინსიგთის“ ანალიტიკოსი ლილიტ გევორქიანი აღნიშნავს, რომ ანქვაბი ცნობილია იმით, რომ უკავია მკაცრი პოზიცია კორუფციასთან და კანონის უზენაესობასთან დაკავშირებით.

17 აგვისტოს ჟურნალისტებთან გამოსვლის დროს ანქვაბმა აღნიშნა, რომ არ არსებობს არანაირი დაუყოვნებლივი პერსპექტივა პრეზიდენტის ხელისუფლებიდან პარლამენტის ფორმაზე გადასვლასთან დაკავშირებით. მან დაუმატა აგრეთვე, რომ არის იმის ალბათობა, რომ რამდენიმე პოსტი, მათ შორის ვიცე-პრეზიდენტის პოსტიც, სამომავლოდ ლიკვიდირებული იქნება.

### რუსეთის მხარდაჭერა

არჩევნების დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელით გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია: „რუსეთი მიესალმება აფხაზეთში პრეზიდენტის არჩევნების წარმატებით მოწყობას, როგორც მნიშვნელოვან ნაბიჯს სახელმწიფოებრიობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების გზაზე ამ მეგობრულ მეზობელ ქვეყანაში“.

მაგრამ სოხუმში არსებობს შიში რესპუბლიკის მომავალ სიცოცხლისუნარიანობასთან დაკავშირებით. დასავლეთის უარყოფამ მის განაცხადზე დამოუკიდებლობის შესახებ აფხაზეთს არანაირი საშუალება არ მისცა გარდა იმისა, რომ იმედი იქონიოს რუსეთის მხარდაჭერაზე. და, მართალია, რუსეთმა მხარი დაუჭირა აფხაზეთის გამოყოფას საქართველოსგან, მაგრამ რესპუბლიკის რუსეთზე დამოკიდებულების მაღალი და კვლავ მზარდი დონე მას აყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომ მომავალში მისი მმართველი იქნება მოსკოვი და არა თბილისი.

„აფხაზეთის განაცხადის პერსპექტივები დამოუკიდებლობის შესახებ მჭუნვარედ რჩება“, – წერს გევორქიანი. „ერთი მხრივ, მტრული დამოკიდებულება საქართველოსთან ნიშნავს, რომ არანაირი გონივრული ინტეგრაცია არ დგას დღის წესრიგში უახლოესი წლებისთვის, დასავლეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის პერსპექტივა კი ნაკლებად სავარაუდოა. მეორე მხრივ, აფხაზეთის დამოუკიდებლობის რუსეთის მხარდაჭერამ შეიძლება მიგვიყვანოს საპირისპირომდე – მის დაკარგვამდე რუსეთისთვისაც.

bne

## დედამიწის ზურგზე



**ლუკაშენკომ მოიფიქრა, როგორ გამოიყენოს კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაცია, რათა რუსეთის ჯარებმა დაიცვან მისი რეჟიმი**

ამ ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან შეხვედრის დროს ბელარუსის პრეზიდენტმა შესთავაზა, გამოიყენონ ამ ორგანიზაციის ძალები არა მხოლოდ გარეშე თავდასხმის შემთხვევაში, არამედ მოკავშირე ქვეყნებში „კონსტიტუციური გადატრიალებების“ თავიდან ასაცილებლადაც. ამავე დროს მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი პოზიცია უკვე შეთანხმებულია მოსკოვთან. ექსპერტებს ესმით ლუკაშენკოს შიშისა, მაგრამ მისი იდეის პერსპექტივებს ვერ ხედავენ.

* * *

**დიდმა ბრიტანეთმა გადაწყვიტა განბლოკოს კადაფის მთავრობის აქტივების 1,5 მილიარდი დოლარი**




როგორც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აქვთ იმედი, ამ სახსრებს შეუძლიათ გადაწყვიტონ გადაუდებელი ჰუმანიტარული საჭიროებანი ლიბიაში, შეიტანონ რწმენა საბანკო სექტორის მუშაობაში, გადაუხადონ ხელფასები საბიუჯეტო სფეროს საკვანძო მუშაკებს და შეავსონ ეკონომიკის ლიკვიდურობა. ლიბიის ყოფილი ხელისუფლების ფული გაიყინა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე.

* * *

**ნობელის ლაურეატებმა გეიმა და ნოვოსელოვმა მოიფიქრეს, თავიანთი გამოგონებით როგორ გააუმჯობესონ ინტერნეტის მუშაობა**



ელექტრონების მაღალი სიჩქარისა და მობილურობის წყალობით გრაფენი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მონაცემების გადაცემების ქსელების შექმნისთვის, რომლებიც ასობით უფრო სწრაფი იქნება, ვიდრე ამჟამინდელი ბოჭკოვან-ოპტიკური ქსელები, გვპირდებიან ფიზიკოსები.

* * *

**თავდასხმაგადატანილ კონგრესვუმენს შეუძლია, კამპანიის სახსრები გამოიყენოს თავისი უსაფრთხოებისთვის**

ასეთ წინასწარ გადაწყვეტილებამდე მივიდა ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური საარჩევნო კომისია. ამ დროს ლიფორდსი ჯერჯერობით არ საუბრობს თავისი გეგმების შესახებ 2012 წელს ხელახალ არჩევნებთან დაკავშირებით. იგი სწრაფად მიდის გამოჯანმრთელებისკენ, უკვე შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება და წერა.



1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## ენვერ ხოჯა

# ხრუშჩოვმა სტალინი ორჯერ მოკლა

ვახშმის შემდეგ სტალინმა მიგვიწვია კრემლის კინოდარბაზში, სადაც რამდენიმე კინოჟურნალის გარდა ვნახეთ საბჭოთა მხატვრული ფილმი „ტრაქტორისტები“. ჩვენ ერთი-მეორის გვერდით დავსხედით დივანზე, და მე გამაოცა იმ ყურადღებამ, რითაც იგი უყურებდა საბჭოთა წარმოების ამ ფილმს. ხშირად ის თავისი თბილი ხმით ლაპარაკობდა უფრო ხმამაღლა და კომენტარს უკეთებდა ფილმში ასახული მოვლენების სხვადასხვა მომენტებს. მას განსაკუთრებით მოეწონა, თუ მოწინავე ტრაქტორისტი, თავისი ამხანაგებისა და მიწათმოქმედთა ნდობის მოსაპოვებლად, როგორ ცდილობდა უკეთ გაეგო მინდვრის მშრომელთა წეს-ჩვეულებები და ქცევა, მათი აზრები და ოცნებები. ხალხთან შრომით და ცხოვრებით ამ ტრაქტორისტმა შეძლო, გამხდარიყო გლეხებისგან პატივცემული ხელმძღვანელი. ამ მომენტში სტალინმა ჩვენ გვითხრა:

— მართვა რომ შეძლო, უნდა იცნობდე მასას, ხოლო ის რომ გაიცნო, უნდა გახვიდე მასაში.

შუაღამე უკვე გადასული იყო, როდესაც წასვლა დავაპირეთ. ამ დროს სტალინმა მიგვიწვია, კიდევ აგვევლო ღვინის ჭიქები და მან მესამედ წარმოთქვა „გმირი ალბანელი ხალხის“ სადღეგრძელო.

ამის შემდეგ ის სათითაოდ დაგვემშვიდობა ყველას. როდესაც მე ხელს მართმევდა, მთხოვა:

— გადაეცით ჩემი გულითადი სალამი გმირ ალბანელ ხალხს, რომელსაც წარმატებებს ვუსურვებ!

1947 წლის 26 ივლისს ჩვენი დელეგაცია, მეტად კმაყოფილი სტალინთან შეხვედრებითა და საუბრებით, სამშობლოში გაემგზავრა.

### მეორე შეხვედრა. 1949 წლის მარტი-აპრილი

1949 წლის 12 მარტს მე, როგორც ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალური დელეგაციის ხელმძღვანელი, კვლავ ჩავედი მოსკოვში და ვიყავი იქ იმავე წლის 11 აპრილამდე.

მოსკოვის აეროპორტში ჩვენ შეგვხვდნენ მიქოიანი, ვიშინსკი და სხვები. პირველი ოფიციალური შეხვედრა გაიმართა ვიშინსკისთან ჩვენი ჩასვლის მეორე დღეს, 23 მარტს კი, 22 საათსა და 5 წუთზე კრემლში მიმიღო სტალინმა ვიშინსკისა და ალბანეთში სსრ კავშირის ელჩის ჩუვახინის თანდასწრებით. ჩემთან ერთად იყვნენ სპირო კოლეკა და მიხაილ პრიფტი, მაშინდელი ჩვენი ელჩი მოსკოვში.

სტალინმა თავის სამუშაო კაბინეტში მიგვიღო ღრმა გულითადობით. როდესაც სათითაოდ ყველას მოგვესალმა, ის ჩემს წინ გაჩერდა:

— მეჩვენება, რომ სახე რაღაც გამხდარი გაქვს, — მომმართა მან, — ავად ხომ არა ხარ? თუ დაიღალე?

— ძალიან მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ კვლავ შეგხვდით, — ვუპასუხე მე და როცა დავჯექი, ვუთხარი, რომ რამდენიმე საკითხი მინდოდა დამეყენებინა.

— თქვენ დროით შეზღუდული არა ხართ, — მითხრა მან კეთილგანწყობით, რათა მეთქვა მისთვის ყველაფერი, რასაც საჭიროდ ჩავთვლიდი.

მე მოკლედ მოვახსენე სტალინს რამდენიმე საკითხი. ჩვენი ხალხი, ვუთხარი მას, თავმდაბალი და შრომისმოყვარე ხალხია. პარტიის ხელმძღვანელობით ის ძალებს არ ზოგავს ჩამორჩენის დასაძლევად, იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც პარტიის პირველმა ყრილობამ დასახა.

მე აღვნიშნე, რომ პარტიის პირველმა ყრილობამ, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის კურსთან ერთად, დასახა დირექტივა სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის განმტკიცებაზე სახელმწიფო საწარმოების გამრავლებისა და თანდათანობითი კოლექტივიზაციის გზით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სახით, რომლებიც ისარგებლებენ სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და ორგანიზაციული მხარდაჭერით.

— ბევრი გაქვთ ასეთი კოოპერატივები? რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობთ ამ მუშაობაში? — შემეკითხა სტალინი.

ამასთან დაკავშირებით ავუხსენი, რომ ყრილობამ დასახა ამოცანა სოფლის მეურნეობის თანდათანობითი მოფიქრებული კოლექტივიზაციის შესახებ ნებაყოფლობით საწყისებზე. ამ გზაზე ჩვენ არ ვიჩქარებთ, თუმცა არც ერთ ადგილზე ტკეპნას დავიწყებთ.

— ჩემი აზრით, — თქვა სტალინმა, — რაც შეეხება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, არ უნდა იჩქაროთ. თქვენი ქვეყანა — მთაგორიანია, მისი რელიეფი სხვადასხვა რაიონში სხვადასხვანაირია. ჩვენთანაც მთიან ადგილებში, თქვენსასას რომ ჰგავს, კოლმეურნეობები ძალიან გვიან შეიქმნა.

შემდეგ მე ვილაპარაკე ჩვენთან მიმდინარე მუშაობის შესახებ მუშათა კლასის მშრომელ გლეხობასთან კავშირის განმტკიცების შესახებ, ერთპიროვნული გლეხისთვის სახელმწიფოს დახმარების გაწევის შესახებ, სოფლის მეურნეობის



პროდუქციის ზრდის, სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების პოლიტიკის შესახებ.

— ეს მეტად მნიშვნელოვანია, — გვითხრა სტალინმა, — და კარგია, რომ ყურადღებას უთმობთ ამ საქმეს. თუ ალბანელ გლეხს დასჭირდება სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სამუშაო პირუტყვი, თესლი და სხვა რამ, დაეხმარეთ მას. და მარტო ეს კი არა, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — გაიყვანეთ სარწყავი არხებიც გლეხობისთვის და მაშინ დაინახავთ ყოველივე ამის შედეგებს. მე მგონი, უკეთესი იქნება, თუ თავის ვალდებულებებს ასეთი დახმარებისთვის გლეხობა შეასრულებს ნატურით.

— სახელმწიფომ, — განაგრძო სტალინმა, — უნდა შექმნას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები. თქვენ არ უნდა გადასცეთ ტრაქტორები კოოპერატივებს, მაგრამ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ერთპიროვნულ გლეხებსაც მიწის დამუშავებაში, თუ ისინი გთხოვენ ასეთ დახმარებას. ასე თანდათანობით, ღარიბი გლეხები მიხვდებიან, რომ აუცილებელია კოლექტივიზაცია. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიჭარბეს, — განაგრძო სტალინმა, — მიწათმოქმედებს შეუძლიათ გაანკარგონ ისინი თავისი შეხედულების მიხედვით, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხები აღარ ითანამშრომლებენ მთავრობასთან. თუ გლეხობა ვერ დაინახავს კონკრეტულ დახმარებას სახელმწიფოს მხრიდან, ისიც არ დაეხმარება სახელმწიფოს.

— მე არ ვიცნობ თქვენი ქვეყნის ბურჟუაზიის ისტორიასა და დახასიათებას, — თქვა შემდეგ სტალინმა და შემეკითხა:

— თქვენში იყო სავაჭრო ბურჟუაზია?

— იყო ჩვენში სავაჭრო ბურჟუაზია, რომელიც ჩამოყალიბების პროცესში იყო, — ვუპასუხე მე, — მაგრამ მას ახლა აღარაფერი დარჩა.

— მოახდინეთ მისი სრული ექსპროპრიირება? — კვლავ მკითხა მან.

ამის პასუხად სტალინს ვუამბე იმ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც ახორციელებდა პარტია ჯერ კიდევ ომის დროს შეძლებულ კლასებთან დაკავშირებით, ღრმა დიფერენციაციაზე, რომელიც განისაზღვრა ამ კლასების წარმომადგენელთა ურთიერთობით უცხოელ დამპყრობლებთან იმით, რომ მათი უმრავლესობა ფაშიზმის თანამოზიარე გახდა და ა.შ.

სტალინმა აღნიშნა, რომ, როგორც სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც, აქაც ყველაფერი დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის კონკრეტულ პირობებზე და ვითარებაზე.

— მაგრამ, ვფიქრობ, — თქვა მან, — რომ რევოლუციის პირველ ფაზაში პატრიოტულად განწყობილ ბურჟუაზიასთან დაკავშირებით, რომელიც ჭეშმარიტად ისწრაფვის თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, ტარდება ისეთი პოლიტიკა, რომლის დროსაც იგი დაეხმარებოდა ამ ფაზაში თავისი საშუალებებითა და სიმდიდრით... სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში, მაგალითად, მსხვილმა ბურჟუაზიამ მოახდინა თავისი თავის კომპრომეტაცია გერმანელ დამპყრობლებთან კავშირით, იგი ეხმარებოდა მათ. როდესაც საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ეს ქვეყნები, გამყიდველმა ბურჟუაზიამ ემიგრაციის გზა აირჩია.

შემდეგ სტალინმა აღნიშნა, რომ ყოველმა კომუნისტურმა პარტიამ და ყოველმა სოციალისტურმა სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს აგრეთვე ინტელიგენციასთან თავის დამოკიდებულებას. მასთან უნდა ვეწეოდეთ დიდ, გულდასმით, შორსმჭვრეტელ მუშაობას, რომ პატიოსანი და პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენცია რაც შეიძლება მჭიდროდ დაუკავშირდეს სახალხო ხელისუფლებას.

როდესაც შეეხო რუსული რევოლუციის ზოგიერთ განსაკუთრებულ მხარეს, სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მაშინ რუსეთი არ იმყოფებოდა რომელიმე უცხოური იმპერიალისტური სახელმწიფოს უღელქვეშ, ამიტომ ჩვენ გამოვედით შინა ექსპლუატატორების წინააღმდეგ, რუსული ნაციონალური ბურჟუაზია კი, რომელიც ექსპლუატატორული კლასი იყო, არ შეურიგდა ჩვენს რევოლუციას. რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენთან მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლა, და რუსულმა ბურჟუაზიამ დახმარება და ჩარევა სთხოვა იმპერიალისტებს.

და ასე, განსხვავება რუსულ რევოლუციასა და იმ ქვეყნებში ბრძოლას შორის, რომლებიც იმპერიალისტური აგრესიის მსხვერპლი გახდნენ, სახეზეა.

— ამას იმიტომ ვლაპარაკობ, — განაგრძო სტალინმა, — რომ წარმოვიდგინოთ, რამდენად მნიშვნელოვანია მოცემული ქვეყნის კონკრეტული პირობების გათვალისწინება, ვინაიდან გარკვეული ქვეყნის პირობები ყოველთვის ერთნაირი როდია სხვა ქვეყნების პირობებთან. სწორედ ამ მიზეზის გამო არავინ უნდა გადაიღოს ასლად ჩვენი ან სხვების გამოცდილება, საჭიროა მხოლოდ მისი შესწავლა და აქედან სარგებლის ამოღება, როდესაც გამოიყენებს თავისი ქვეყნის კონკრეტული პირობების შესაბამისად.

* * *

სტალინთან შეხვედრის დრო გადიოდა შეუმჩნევლად. სიტყვა ავიღე მე და დავიწყე იმ საკითხებზე საუბარი, რომლებიც დაკავშირებული იყო ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის განმტკიცების, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების გეგმასთან.

— თქვენი გენერალური შტაბის უფროსმა, — თქვა სტალინმა, — ჩვენთან არმიასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი დააყენა. ჩვენ გავეცით განკარგულება, დააკმაყოფილონ ეს მოთხოვნები, თუ მიიღეთ, რასაც ითხოვდით?

— ჩვენ არანაირი პასუხი არ მიგვიღია, — ვუპასუხე მე.

სტალინმა უმალვე გამოიძახა ერთი გენერალი და დაავალა მას, მოეძია ზუსტი ცნობები ამ საკითხთან დაკავშირებით. რამდენიმე წუთის შემდეგ გაისმა ტელეფონის ზარის ხმა. სტალინმა აიღო ყურმილი და, როდესაც პასუხი მოისმინა, მითხრა, რომ საქონელი უკვე გაგზავნილია.

— რელსები მიიღეთ? — შემეკითხა ისევ. — დამთავრდა რკინიგზა?

— მივიღეთ, — ვუპასუხე, — რკინიგზა უკვე გადაეცა საექსპლუატაციოდ. — და დავიწყე საუბარი საერთოდ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების გეგმის ამოცანებზე, ისევე როგორც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების გეგმებზე. ვისარგებლე შემთხვევით და ჩამოვაყალიბე ჩვენი თხოვნები საბჭოთა კავშირიდან დახმარების შესახებ.

როგორც ჩვენს წინანდელ თხოვნებს, სტალინი ამჯერადაც კეთილგანწყობით მოეკიდა მათ და დაიწყო სრულიად გულახდილად.

— ამხანაგებო, — თქვა მან, — ჩვენ დიდი ქვეყანა ვართ, მაგრამ თქვენ იცით, რომ ომის უმძიმესი შედეგები ჩვენთან ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. მიუხედავად ამისა, დღეს, ისევე როგორც მომავალში, დაგეხმარებით, შეიძლება არცთუ ისე უხვად, მაგრამ შესაძლებლობის შესაბამისად. გვესმის, რომ თქვენ უნდა შექმნათ და განავითაროთ სოციალისტური მრეწველობის სექტორი და ამასთან დაკავშირებით თანახმა ვართ დავაკმაყოფილოთ ყველა თქვენი მოთხოვნა, მათ შორის ისინიც, რომლებიც შეეხება სოფლის მეურნეობას.

შემდეგ სიცილით თქვა:

— თვით ალბანელები? იმუშავებენ ისინი?

მე მივხვდი, რატომ შემეკითხა ის ამას. ეს იყო შედეგი ბოროტგანზრახული ინფორმირებისა მისი სომეხი ვაჭრის მიქოიანის მიერ, რომელმაც შეხვედრაზე, მასთან რომ მქონდა, მელაპარაკებოდა სტალინის ენისგან არა მხოლოდ დიდად განსხვავებულ ენაზე, არამედ მკვეთრი გამონათქვამებიც გამოიყენა ჩვენს ქვეყანაში გეგმების შესრულებასთან დაკავშირებით — თითქოს ჩვენთან ხალხი არ მუშაობს და ა.შ. მისი მიზანი იყო, რომ შემცირებულიყო დახმარების ტემპები და მოცულობა. ასე იქცეოდა მაშინ მიქოიანი. თუმცა სტალინმა დააკმაყოფილა ყველა ჩვენი თხოვნა.

— ჩვენ, — თქვა მან, — გამოგიგზავნით კადრებსაც, თქვენ რომ გთხოვდით, და ისინი თავს არ დაზოგავენ, რომ დაგეხმარონ. მაგრამ, ცხადია, ისინი სამუდამოდ არ დარჩებიან ალბანეთში. ამიტომ თქვენ უნდა მოამზადოთ თქვენი კადრები, თქვენი სპეციალისტები, რომლებიც ჩვენებს შეცვლიან. ეს მნიშვნელოვანი საკითხია. რამდენი უცხოელი კადრიც უნდა ჩამოვიდეს თქვენთან, თქვენ მაინც თქვენი კადრები უნდა გყავდეთ. ამიტომ, — გვირჩია მან, — თქვენ უნდა გახსნათ თქვენი უნივერსიტეტი, რომელიც გახდება მომავალი კადრების მომზადების დიდი ცენტრი.

ჩვენ უკვე გავხსენით პირველი ინსტიტუტები, — ვუპასუხე მე სტალინს, — და მათში მიმდინარეობს მუშაობა. მაგრამ ჩვენ მაინც ჯერ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ. გამოცდილებისა და სახელმძღვანელოების გარდა ჩვენ არ გვყავს არც სათანადო კადრები უნივერსიტეტის გასახსნელად.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 150, 151, 160,161

(გაგრძელება იქნება)

◉ კალათბურთი

# მოქმედი პირნი და შემსრულებელნი

**მართალია, უკვე ცნობილია ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატის პირველი შედეგები, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც საინტერესოა ლიტვური ფორუმის კალენდრისა და „დ“ ჯგუფის გუნდების შემადგენლობების გაცნობა, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრები თამაშობს.**

**„ა“ ჯგუფი. 1 სექტემბერი.** პორტუგალია – ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი – თურქეთი, პოლონეთი – ლიტვა. **2 სექტემერი.** ესპანეთი – დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია – პოლონეთი, თურქეთი – ლიტვა. **4 სექტემბერი.** დიდი ბრიტანეთი – პორტუგალია, პოლონეთი – თურქეთი, ლიტვა – ესპანეთი. **5 სექტემბერი.** დიდი ბრიტანეთი – პოლონეთი, ესპანეთი – თურქეთი, პორტუგალია – ლიტვა.

**„ბ“ ჯგუფი. 1 სექტემბერი.** ლატვია – სერბეთი, ისრაელი – საფრანგეთი, იტალია – გერმანია. **2 სექტემბერი.** სერბეთი – ისრაელი, ლატვია – იტალია, საფრანგეთი – გერმანია. **4 სექტემბერი.** ისრაელი – ლატვია, იტალია – საფრანგეთი, გერმანია – სერბეთი. **5 სექტემბერი.** ისრაელი – იტალია, ლატვია – გერმანია, სერბეთი – საფრანგეთი.

**„გ“ ჯგუფი. 1 სექტემბერი.** ბოსნია – ჩერნოგორია, ფინეთი – საბერძნეთი, მაკედონია – ხორვატეთი. **3 სექტემბერი.** ფინეთი – ბოსნია, საბერძნეთი – მაკედონია, ხორვატეთი – ჩერნოგორია. **4 სექტემბერი.** მაკედონია – ფინეთი, ჩერნოგორია – საბერძნეთი, ბოსნია – ხორვატეთი. **5 სექტემბერი.** ფინეთი – ჩერნოგორია, საბერძნეთი – ხორვატეთი, მაკედონია – ბოსნია.

**„დ“ ჯგუფი. 1 სექტემბერი.** ბულგარეთი – ბელგია, საქართველო – რუსეთი, უკრაინა – სლოვენია. **3 სექტემბერი.** უკრაინა – ბულგარეთი, სლოვენია – საქართველო, რუსეთი – ბელგია. **4 სექტემბერი.** საქართველო – უკრაინა, ბულგარეთი – რუსეთი, ბელგია – სლოვენია. **5 სექტემბერი.** საქართველო – ბულგარეთი, სლოვენია – რუსეთი, უკრაინა – ბელგია.

* * *

**საქართველო. გიორგი გამყრელიძე (183 სმ. 1986 წ. უგუნდოძ, ვლადიმერ ბოისა (201, 1981, უგუნდოძ, ანატოლი ბოისა (195, 1983, „არმია“ძ, ზაზა ფაჩულია (210, 1984, „ატლანტა“ძ, გიორგი ცინცაძე (192, 1986, უგუნდოძ, გიორგი შერმადინი (216, 1989, „პანათინაიკოსი“ძ, მანუჩარ მარკოიშვილი (195, 1986, „კანტუ“ძ, ვიქტორ სანიკიძე (203,1986, „ვირტუსი“ძ, „ნიკოლოზ ცქიტიშვილი (212, 1983, უგუნდოძ, თორნიკე შენგელია (207, 1991, „შარლერუა“, მარკიზ ჰეინსი (192, 1986, „გრან კანარია“ძ, ლაშა ფარღალავა (192, 1987, „სოხუმი“ძ, გიორგი შარაბიძე (სათადარიგო, 210, 1990, „არმია“ძ.

მწვრთნელი: იგორ კოკოშკოვი.

რუსეთი. ანდრეი ვორონცევიჩი (204, 1987, ცსკაძ, სერგეი ბიკოვი (190, 1983, „ლოკომოტივი“), ვიტალი ფრიძონი (195, 1985, „ხიმკი“ძ, ვიქტორ ხრიაპა (204, 1982, ცსკა), სერგეი მონია (202, 1983, „ხიმკი“), დიმიტრი ხვოსტოვი (200, 1989, „ხიმკი“), ანდრეი კირილენკო (206, 1981, „იუტა“ძ, სემიონ ანტონოვი (206, 1989, „ნიჟნი ნოვგოროდი“ძ, ნიკიტა შაბალკინი (206, 1986, „ლოკომოტივი“ძ, ალექსეი შვედი (195, 1988, ცსკაძ, ტიმოფეი მოზგოვი (215, 1986, „ხიმკი“ძ, ანტონ პონკრაშოვი (200, 1986, ცსკაძ.

მწვრთნელი: დევით ბლატი.

სლოვენია. უროშ „სლოკარი (210, 1983, „რომა“ძ, იაკა ლაკოვიჩი (186, 1978, „გალათასარაი“ძ, ლუკა რუპნიკი (184, 1993, „სლოვანი“ძ, საშო ოზბოლტი (188, 1981, „ოლიმპია“ძ, მათიას სმოდიში (205, 1979, „ზაგრები“ძ, სამო უდრიჰი (195, 1979, ოლიმპიაძ, ედო მურიჩი (201, 1991, კრკაძ, გორან დრაგიჩი (194, 1986; „ჰიუსტონი“ძ, გორან იაგოდნიკი (201, 1974, „ოლიმპია“ძ, ზორან დრაგიჩი (196, 1989, კრკაძ, მირზა ბეგიჩი (216, 1985, „რეალი“ძ, ერაზმ ლორბეკი (210, 1984, „ბარსელონა“ძ.

მწვრთნელი: ბოჟიდარ მალიკოვიჩი.

უკრაინა. დენის ლუკაშოვი (187, 1989, „ბუდიველნიკი“ძ, სტივენ ბურტი (185, 1984, „დნიპრო“ძ, ალექსანდრე ლიპოვეი (199, 1991, „დონეცკი“ძ, ალექსანდრე კოლჩენკო (193, 1988, „აზოვმაში“ძ, ოლეგ სალტოვეცი (202, 1977, „დონეცკი“ძ, სერგეი ლიშჩუკი (210, 1982, „ვალენსია“ძ, ვიაჩესლავ კრავცოვი (212, 1987, „დონეცკი“ძ, კირილ ფესენკო (215,1986, „იუტა“ძ, დიმიტრი ზაბირჩენკო (190, 1984, „ბუდიველნიკი“ძ, მაქსიმ პუსტოზვონოვი (201, 1987, „დონეცკი“ძ, ალექსეი პეჩიროვი (213, 1985, „აზოვმაში“ძ, დანილო კოზლოვი (204, 1982, „დნიპრო“ძ.

მწვრთნელი. მაიკ ფრატელო.

ბელგია. როელ მურსი (190, 1978, „ანტვერპენი“ძ, სემ ვან როსომი (188, 1986, „სარაგოსა“ძ, კრისტოფ ბეგინი (207, 1980, „შარლერუა“ძ, რენდი ოვენეკი (201, 1986, „ანტვერპენი“ძ, ჯონათან ტაბუ – ებომა (190, 1985, „ვანოლი“ძ, დიმიტრი ლოუერსი (187, 1979, „აველინო“ძ, გია მუია (190, 1983, „ბელგაკომი“ძ, მარკუს ფეისონი (196, 1978, „ოსტენდე“ძ, იოაჰიმ დე ზეუვი (205, 1987, „პეპინსტერი“ძ, თომას ვან დერ შპიგელი (214, 1978, „ოსტენდე“ძ, დიდიე მბენგა (214, 1980, „ნიუ ორლეანი“ძ, იონ შტეინბახი (181, 1989, „ოკაპი“ძ.

მწვრთნელი: ედი კასტელსი.

ბულგარეთი. დეიან ივანოვი (205, 1988, „მონტეგრანარიო“ძ, კალოიან ივანოვი (205, 1986, „ალიკანტე“ძ, ბოჟიდარ ავრამოვი (190, 1990, „ლუკოილი“ძ, ჩავდარ კოსტოვი (196, 1988, „კავალა“ძ, ფილიპ ვიდენოვი (196, 1980, „პროკომი“ძ, პაველ მარინოვი (197, 1988, „ტუნდია“ძ, „ალექსანდრ იანევი (203, 1990, „ჩერნო მორე“ძ, ასენ ველიკოვი (188, 1986, „ლევსკი“ძ, ტენჩო ბანევი (209, 1980, „ლუკოილი“ძ, ნიკოლაი ვარბანოვი (209, 1985, „ტუნდია“ძ, ერლ როულენდსი“ (188, 1983ძ, „უნიკახა“ძ, ზლატინ გეორგიევი (195, 1988, „ლევსკი“ძ.

მწვრთნელი. როსენ ბარჩოვსკი.







**ინფორმაცია თემაში**

**„ევრობასკეტის“ გახსნისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე ლიტველმა ფანატებმა გინესის წიგნში შესატანი ახალი რეკორდი დაამყარეს – ამ ღონისძიებაში ბურთს მინიმუმ 5 წუთის განმავლობაში ექვსივე ქალაქის ქუჩებში 61 000 ბალტიისპირელი „ატყაპუნებდა“, რაც ორჯერ აღემატება 2009 წელს პოლონეთში გამართულ ანალოგიურ ფორუმზე აღნუსხულ მიღწევას. საამისოდ ორგანიზატორებმა 15 000 ბურთი გამოყვეს, ჟიურიში კი სპეციალური კომისიის წევრებთან ერთად მერები, მინისტრები და ჟურნალისტები შედიოდნენ.**

◉ ჩოგბურთი

# ახლოა კონორსამდე

**ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატის სტარტზე კოლუმბიელ სანტიაგო ხირალდოსთან მოპოვებული გამარჯვება – 6:4, 6:3, 6:2 როჯერ ფედერერისთვის 224-ე აღმოჩნდა დიდი მუზარადის ტურნირებში და ამ მაჩვენებლით ლეგენდარული შვეიცარიელი ამერიკელ ანდრე აგასის გაუთანაბრდა.**





ასე რომ, ცოტაც და იგი მალე ამ უკანასკნელის თანამემამულის ჯიმი კონორსის აბსოლუტურად საუკეთესო შედეგსაც გააუმჯობესებს, რომელმაც 233-ჯერ დატოვა კორტი თავაწეულმა.

პირველ წრეში წარმატებით ითამაშეს აგრეთვე გაელ მონფილსმა, ხუან კარლოს ფერერომ, ნოვაკ ჯოკოვიჩმა, დავით ფედერერმა, ჯო-ვილფრიდ ცონგამ, რაფაელ ნადალმა, ფერნანდო ვერდასკომ, ნიკოლაი დავიდენკომ, იურგენ მელცერმა და სტანისლავ ვავრინკამ.

რაც შეეხება ქალთა ასპარეზობას, დიდ სიურპრიზად შეიძლება ჩაითვალოს ჩინელი ნა ლის მარცხი რუმინელ სიმონა ჰალეპისთან – 2:6, 5:7. ბალკანელთან ერთად მთავარი პრიზისთვის ბრძოლას განაგრძობენ ვენუს და სერენა უილიამსები, მარიონ ბარტოლი, ანა ივანოვიჩი, მარია შარაპოვა, კაროლინ ვოზნიაცკი, ვიქტორია აზარენკა და ფლავია პენეტა.

◉ ინტერნეტიდან

# მერე რა, რომ ყოფილია

**შეგახსენებთ, რომ შარშან მოსკოვის „სპარტაკის“ ბრაზილიელმა ბომბარდირმა ველიტონმა მძიმე ტრავმა მიაყენა დედაქალაქის „დინამოს“ მეკარე გაბულოვს. და აი, ახალი სკანდალური შეჯახება – ამჯერად სამხრეთამერიკელთან ფიზიკური კონტაქტის შედეგად ნახევარი სეზონის განმავლობაში მოუწევს მკურნალობა იძულებითი და დასვენება ცსკას გოლკიპერს აკინფეევს.**



ყოფილ ბოიფრენდს მოულოდნელად გამოესარჩლა „სახლი-2“-ის მონაწილე, პოპულარული ტელეწამყვანი ვიქტორია ბონია. „მართალია, მე ძალიან მიყვარს იგორი, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, მისი დაშავება უნებლიეთ მოხდა და ველიტონის დადანაშაულება უსამართლობაა“, – განაცხადა მან.

ვითომ?

**შეუცნობელი**

**აგვისტოში შესრულდა 15 წელი, რაც ვანგა, გენიალური ბულგარელი წინასწარმეტყველი და მკურნალი, უკეთეს სამყაროში გადასახლდა. ჩვენ ვთხოვეთ ვანგას დისწულს კრასიმირა სტოიანოვას — ლინგვისტს, ტელეჟურნალისტსა და მწერალს — გვიამბოს თავის დეიდაზე ის, რაც ჯერ კიდევ არ გაჟღერებულა ათასობით წიგნში, ნარკვევში, ინტერვიუსა და მემუარებში.**


უნიკალური წინასწარმეტყველი ვანგა და მისი სახლი სოფელ რუპიტეში.

# ვანგა ცოცხალია?

## მის დისწულს სჯერა: ის არ გამქრალა

### „სხვის ხვედრს ვერ მიიზიდავ“

— ის, ალბათ, ასე არ იტყოდა თავის გადასახლებაზე სხვა სამყაროში. დეიდა ეკითხებოდა გარდაცვლილებს იმას, რისი გაგებაც სხვა გზით შეუძლებელია. სამყაროს შესახებ ისეთი ცოდნით, რაც მას ჰქონდა, არ შეეძლო მიეჩნია, რომ გულის ძგერის გაჩერებით პიროვნება ქრება.

**— თქვენი ცხოვრების დიდი ნაწილი მასთან კონტაქტში გაატარეთ. ხშირად იყენებდით მის ღვთიურ ნიჭს?**

— ჩვენს ოჯახს წინასწარმეტყველების გარეშე ცხოვრება არ შეეძლო — დეიდა ხომ მუდმივად რაღაცისგან გვიცავდა, რაღაცას გვირჩევდა. თუმცა მისი გაფრთხილებები ერთმნიშვნელოვანი იშვიათად იყო. ჩვეულებრივად ეს რჩევები რაღაცის შესაძლებლობათა დერეფანს ტოვებდა. როდესაც სამი დღისა ვიყავი, ვანგამ ჩემს მშობლებს აცნობა: კრასიმირა გაშიფრავს ძველეგვიპტურ იეროგლიფებს. მე დავამთავრე თურქული ფილოლოგიის განყოფილება და თუმცა ვმეცადინეობდი ძველ თურქულში, მაგრამ ეს იეროგლიფები არ ყოფილა. სხვათა შორის, მე არ მომისმენია დეიდის რეალური შეცდომების შესახებ. თუ ვინმე ამას დაბეჯითებით აცხადებს, ეს არის ის ადამიანი, რომელმაც ყველაფერი ვერ გაიგო ვანგას სიტყვებში, ან ჯერ ამის დრო არ დამდგარა. ასე იყო ჩემთან დაკავშირებითაც. როდესაც გავიზარდე და ტელევიზიაში დავიწყე მუშაობა, ყურადღება მივაქციე განცხადებას: უნივერსიტეტი აწყობს შერჩევას ეგვიპტოლოგიის უმაღლეს სკოლაში. როგორ შემეძლო გამეძლო ამ შემთხვევაში?

**— განა, როდესაც იცოდით დეიდის წინასწარმეტყველება, თქვენ არ შეგეძლოთ განზრახ მისი „მიზიდვა?“**

— სხვის ხვედრს ვერ მიიზიდავ! როდესაც იეროგლიფებს ვამუშავებ, ვგრძნობ: ეს ცხოვრებაში ჩემი დანიშნულებაა. უბრალოდ, ვანგამ ეს იგრძნო ჩემზე მრავალი წლით ადრე. როდესაც დავიწყე ვანგაზე წიგნის წერა, ის წინააღმდეგი იყო. გავჯიუტდი. ბოლოს და ბოლოს დეიდა დამთანხმდა, თუმცა გამაფრთხილა: ამ წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით ბევრი პრობლემა გაგიჩნდებაო. ასეც გამოვიდა. გამომცემლობაში, სადაც ხელნაწერი მივიტანე, ჩუმად მისი ქსეროასლი გააკეთეს მეგობრებისთვის. ქვეყანაში გავრცელდა თვითგამოცემის ტირაჟი. ხელნაწერი კი თაროზე დარჩა. მხოლოდ ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ წიგნი მაინც გამოვიდა.

### ანა, ვანგას მემკვიდრე

**— ბევრი ბულგარელი ექსტრასენსი უწევს თავის თავს რეკლამას, რომ ისინი ვანგას მემკვიდრეები არიან. თქვენს ოჯახში ნამდვილ მემკვიდრეებს შორის მისი უნარი ვინმეს გადაეცა?**

— არც დედაჩემს — ვანგას ღვიძლ დას, არც მე ასეთი უნარი არ გაგვაჩნია. სამაგიეროდ ჩემი და ანა ხედავს ადამიანების შინაგან ორგანოებს, რაც ეხმარება მას სამედიცინო პრაქტიკაში: ის ექიმი-კლინიცისტია. მუშაობს საბერძნეთში, სადაც ვანგას შესახებ ბევრს ბევრი არაფერი სმენია. სხვათა შორის, დეიდამ ანას უწინასწარმეტყველა სამი მოვლენა, რომლებმაც მისი ბედი განსაზღვრეს. ორი მათგანი უკვე ასრულდა. ანამ ისწავლა სხვა ქვეყანაში (კონკურსით მოხვდა იმათ შორის, ვინც სასწავლებლად გაიგზავნა სსრ კავშირში, სადაც დაამთავრა I სამედიცინო მოსკოვში), გათხოვდა უცხოელზე — ასე აღმოჩნდა ის საბერძნეთში. ვანგას მესამე წინასწარმეტყველება ანასათვის ჯერ არ შესრულებულა. თუ კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადების სპეციალისტი გახდები, ეუბნებოდა დეიდა, დიდ აღმოჩენას გააკეთებ მეცნიერებაში. და, სხვათა შორის, ანა უკვე მოხვდა სათანადო კლინიკაში.

**— კრასიმირა, სწორია, რომ ვანგას გარდაცვალების შემდეგაც იმ ადგილებში, სადაც ის ცხოვრობდა და დაკრძალეს კიდეც, ხდება სასწაულებრივი განკურნებანი?**

— მეც მომისმენია ამის შესახებ. არ ვიცი, რა არის აქ უფრო მეტი — ადამიანების მისწრაფება დაინახონ ვანგაში წმინდანი თუ ბუნების სასიკეთო გავლენა. ვანგამ ცხოვრებისთვის აირჩია უნიკალური დაბლობი თერმული წყლებით, წმინდა ნაკადულებით, ფლორისა და ფაუნის იშვიათი სახეობებით.

**— ხომ არ გახდა ის მართლაც წმინდანი, ვის წმინდა ნაწილებსაც აქვთ განკურნების ძალა?**

— ადამიანის წმინდანად აღიარება მხოლოდ ეკლესიას შეუძლია. ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას, არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება ჰქონდა დეიდაჩემთან. ეკლესიამ, სამწუხაროდ, არ გაითვალისწინა ვანგას სურვილი ჰქონოდა სახლის მახლობლად პატარა ხის ეგვტერი (სამლოცველოძ, სადაც მას დამოუკიდებლად, შეგრძნებით შეეძლებოდა მისვლა. ამის ნაცვლად წამოჭიმეს პომპეზური ეკლესია. თუმცა ცხადი იყო: ეს უკვე კეთდება არა მისთვის, არამედ მომავალი ტურისტული გაქანების მიზნით, საექსკურსიო ტურებისთვის — „ვანგას ადგილები“. მალე ეკლესიის კურთხევიდან დეიდა ჩაწვა ლოგინად და ორ წელიწადში გარდაიცვალა.

სხვათა შორის, მან წინასწარ იცოდა ის, რომ მისი სახელი სარეკლამო სლოგანი გახდებოდა. რომ გამოჩნდებოდნენ „ვანგას მოწაფეები“, „ვანგას ერთადერთი სულიერი მემკვიდრეები“. თითქოს პუშკინის ან შექსპირის მემკვიდრეები იყვნენ.

**საველი კაშნიცკი**

**ინტერნეტ-გამოკითხვა**

**გჯერათ ვანგას წინასწარმეტყველებანი?**

- **ხდება დამთხვევები, მაგრამ ეს არაფერზე მეტყველებს — 59 პროცენტი (438 ხმა);**
- **არა, ეს სისულელეა — 26 პროცენტი (195 ხმა);**
- **ვინ არის ვანგა? — 4 პროცენტი (33 ხმა).**

**სულ 750 ხმა.**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

**გაითვალისწინეთ!**

**მინიმუმების დღეებში გრაფიკით: 2, 8, 18, 25 და 30 რიცხვებში შეიძლება შეინიშნებოდეს სისუსტე და ძალების დაქვეითება. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია შევამციროთ დატვირთვა და გავზარდოთ დასვენების დღეები.**

**დაძაბული დღეები 2011 წლის სექტემბერში:**

**3 (08-12), 4 (21-23), 6 (15-17), 10 (21-23), 12 (13-15), 13 (16-18), 16 (19-21), 20 (17-19), 23 (10-13), 27 (15-17), 28 (10-24).**

**სექტემბერში გეოგრაფიული აქტიურობის გაძლიერაბა მოსალოდნელია: 4-6, 10-16, 20-**

## აქტიური პროცესები სექტემბერში



**3 – დაძაბული მთვარის ასპექტები.** შეიძლება შემჩნეული იყოს უყურადღებობა, მეხსიერების შესუსტება. არ არის ყველაზე ხელსაყრელი დღე ხელშეკრულებათა დადებისთვის – ხვალ ვითარება შეიძლება შეიცვალოს.

ფრთხილად გამოიყენეთ საყოფაცხოვრებო ქიმიის საშუალებები. ერიდეთ ალკოჰოლს, უცნობ წამლებს.

**4 – მთვარის პირველი მეოთხედი.** შესაძლებელია ღვიძლის, ფილტვების, სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი. რეკომენდებულია ვსვათ სუფთა წყალი, დავიცვათ დიეტა, უარი ვთქვათ აღმგზნებ სასმელებზე, მოწევაზე, ყავასა და შოკოლადზე. სასარგებლოა ზომიერი ფიზიკური შრომა, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟი და სასუნთქი ვარჯიშები.

**6 – მთვარე-პლუტონის შეერთება.** შეიძლება გაჩნდეს ან გაძლიერდეს ტკივილები ძვლებში, სისხლძარღვებში, ხრტილებში, გამწვავდეს შარდსადენი ორგანოების, კანისა და კბილების დაავადებანი. შეიძლება თავი შეგვახსენონ კენჭებმა ღვიძლში, თირკმელებსა ან ნაღვლის ბუშტში. არ არის სასურველი ინტენსიური ფიზიკური ვარჯიშები და საყრდენ-მოძრაობის სისტემის გადატვირთვა.

რეკომენდებულია ვერიდოთ ტრავმატიზმსა და გაციებას.

**10 – მთვარე-ნეპტუნის შეერთება.** შეიძლება შეიმჩნეოდეს გაფანტულობა, უყურადღებობა, დიდია ფსიქიკური სტრესების გამწვავების საფრთხე, ინფექციური დაავადებათა, შესაძლებელია და სისხლის მოწამვლის გაჩენა.

რეკომენდებულია ფრთხილად გამოვიყენოთ წამლები, არ გადავტვირთოთ თვალები და ყურები, ვერიდოთ დაძაბულობას, სითხეები და გაზები. სასარგებლოა წყლის პროცედურები, ტერფების მასაჟი.

**12– სრული მთვარე.** არ არის გამორიცხული ფსიქიკურ სნეულებათა გამწვავება, კანის დაავადებანი, ტკივილები ტერფებში.

რეკომენდებულია შევზღუდოთ სითხე, არ გადავტვირთოთ ღვიძლი, ფეხები და სმენის ორგანოები. სასარგებლოა კონტრასტული შხაპი, ტერფების მასაჟი. ხელსაყრელი დროა საქმეების, შემოქმედებითი მოღვაწეობის დამთავრებისა და დასვენებისთვის.

**13 – მთვარე-ურანის შეერთება.** შეიძლება აგვტკივდეს თავი, თვალები, კბილები, ყურები, შეგვაწუხოს უძილობამ.

გააკონტროლეთ საკუთარი ემოციები, სვით სუფთა წყალი, უარი თქვით აღმგზნებ სასმელებზე, მოწევაზე, შოკოლადზე, მიეცით დასვენების საშუალება თვალებს. ერიდეთ ტრავმატიზმს. სასარგებლოა გონებრივი და ფიზიკური შრომა, სამკურნალო ფიზკულტურა, გასეირნება.

**16 – მთვარე-იუპიტერის შეერთება.** შეიძლება შევნიშნოთ ცხოვრებისეული ენერგიის მოზღვავება, გაჩნდება მსჯელობის უნარი, სიფრთხილე, მაგრამ არა სიზარმაცე. შესაძლებელია ღვიძლის, თირკმლების, პირის ღრუსა და ყელის, კბილების, ყურების, ზედა სასუნთქი გზებისა და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებანი.

საუზრაქოა დავიცვათ დიეტა, არ გადავიტვირთოთ, ვერიდოთ მოწამვლას.

**20 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი, მთვარის ქვედა კვანძი.** არის უყურადღებობის, ზედმეტი ემოციურობის გაჩენის ალბათობა. არ არის გამორიცხული დარღვევები საკვების გადასამუშავებელ სისტემაში, ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტში.

რეკომენდებულია ვერიდოთ გაციებას, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, ცხარე და მძიმე საკვებზე. ხელსაყრელი დროა აქტიური წყლის პროცედურებისთვის, დასვენებისთვის, წამოწყებული საქმეების დასრულებისთვის.

**23 – მზე გადადის სასწორის ნიშანზე, მთვარე-მარსის შეერთება.** შესაძლებელია აგრესიულობა, გაღიზიანება, მშფოთვარე ძილი, თავის ტკივილის გაჩენა. არ არის გამორიცხული თირკმელებისა და შარდსადენი გზების დაავადებათა გამწვავება.

ყურადღებით იყავით წვეტიან ინსტრუმენტებთან, გაუფრთხილდით თავსა და გულს.

**27 – ახალი მთვარე, მთვარე-მერკურის შეერთება.** არ არის ხელსაყრელი დღე ახალი საქმეებისა და მნიშვნელოვანი დოკუმენტების შედგენისთვის. არ არის გამორიცხული თირკმელების, საშარდე ბუშტის, რადიკულიტის, ფეხებსა და მხრებში ტკივილების გამწვავება.

რეკომენდებულია თავი ავარიდოთ მძიმე ხელით შრომას, ამოვიღოთ რაციონიდან ცხარე და მარილიანი პროდუქტები, ფრთხილად გამოიყენეთ საყოფაცხოვრებო ქიმიის საგნები. შეიქმნით თქვენს გარშემო ხელსაყრელი ვითარება, ურთიერთობა იქონიეთ ახლობელ ადამიანებთან და თანამოაზრეებთან. ფრთხილად იყავით ტრანსპორტში მოგზაურობის, სიმაღლეზე მუშაობის და ელექტროხელსაწყოებთან მუშაობის დროს, არ არის რეკომენდებული ახალი საქმეების წამოწყება.

**28 – მთვარის შეერთება ვენერასთან და სატურნთან, მთვარის პერიგეი.** შესაძლებელია ცხვირისა და საყლაპავი მილის, თირკმელებისა და შარდის ბუშტის დაავადებათა გამწვავება ან გამოჩენა, ტკივილები თეძოს სისხლძარღვებში, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზის გამწვავება.

რეკომენდებულია დავიცვათ დიეტა, ვერიდოთ გაციებას, გამოვრიცხოთ სიმძიმეების აწევა, ვიყოთ ყურადღებიანი ტრანსპორტით სარგებლობის დროს. არ არის გამორიცხული კონფლიქტები ხელქვეითებთან, ცვლილებები საქმეებში და საწარმოო სტრუქტურებში. ხელსაყრელი დროა აქტიური დასვენებისთვის, საყიდლებისთვის, საკუთარი თავისა და სახლის მოწესრიგებისთვის, ურთიერთობისთვის.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანატი, საინჟინრო გეოდეზიისა და მარკშეიდერიის დეპარტამენტი, სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, გეოლოგიის დეპარტამენტი, ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტი, სტუდენტური თვითმმართველობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, პროფესორი

**მერაბ ნიკოლოზის ძე თევზაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სამთო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი

**მერაბ თევზაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ანზორ აბშილავა და ნელი ღუღუნიშვილი ოჯახით იუწყებიან

**მერაბ ნიკოლოზის ძე თევზაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



ნაძალადევის საძმო მწუხარებით იუწყება უბნის კოლორიტის, კეთილშობილი მამულიშვილის

**თენგიზ (ცმაცუნა) ბენოს ძე ბერძენიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ჭირისუფლებს და სანათესაოს.

## დაიჯესტი

### აქლემი თხისა და ანემიის წინააღმდეგ



**ავსტრალიელმა მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს ერთ უცნაურ გარემოებას: თხების მომშენებელი მოთაბარეები ხშირად ავადდებიან ანემიით (მცირესისხლიანობით), ხოლო აქლემების მომშენებლებს კი ეს სენი, ფაქტობრივად, არ ეყრებათ.** მკვლევარები ვარაუდობენ, რომ აქლემის რძე სისხლის წარმოშობის ხელშემწყობ ნივთიერებას შეიცავს, რასაც ქიმიური ანალიზის შედეგებიც მოწმობენ. ყველაფერი ნათელი მას შემდგომ გახდება, როცა კორო-პერტის სამეფო ჰოსპიტალში ექსპერიმენტი დასრულდება, რომლის მსვლელობისას ავადმყოფებს აქლემის რძეს ასმევენ.

### ის ურჩევნია მამულსაო...

**საკუთარი შვილი გარეგნობითაც, ზრდილობითაც და, რაც მთავარია, ინტელექტითაც უნდა გამოირჩეოდეს — ესაა ყველა მშობლის სანუკვარი ოცნება. მეცნიერებმაც სცადეს იმის გარკვევა, თუ როდის იბადებიან მომავალში სხვებზე მაღალი ინტელექტის მქონე ბავშვები.**

— იანვარ-თებერვალ-მარტში დაბადებულ პატარებს, თანატოლებთან შედარებით სწავლასა და კარიერაში წარმატების მიღწევის მეტი შანსი აქვთ, — ეს დასკვნა გამოიტანეს ნორვეგიელმა მეცნიერებმა, რომლებმაც 13-დან 15 წლამდე ასაკის დაახლოებით შვიდი ათასი მოზარდი გამოიკვლიეს. ოსლოს უნივერსიტეტის სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ გაკვირვებულნი დარჩნენ მოზარდების ინტელექტუალური განვითარების დონით, რომელიც ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერში დაბადებული თანატოლებისას აშკარად უსწრებს. ასევე გაირკვა, რომ წლის მიწურულს დაბადებულ ვაჟებს ურთიერთობების დამყარების მხრივ გარკვეული პრობლემები აქვთ.



### „გოგო“ და „ბიჭი“ კი არა, „მეგობარო“ თქვით, ბავშვებო!

**შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმის ერთ-ერთ ელიტურ საბავშვო ბაღში ამიერიდან... აღარც გოგონები არიან, აღარც ბიჭუნები: იქაური 33 პატარა სქესის გარეშე დარჩა. ახლა იქ „ბიჭებსა“ და „გოგოებზე“ დაყოფა აღარ იქნება, ყველა მათგანი უსქესო „იგი“ იქნება. ერთადერთი ნებადართული მიმართვა აქაა „მეგობარო“, თანაც საყურადღებო (უფრო სწორად კი გულგასახეთქი!ძ რომ ეს „ტერმინი“ (შვედურად „hen“ძ... ჰომოსექსუალისტების ჟარგონიდანაა აღებული.**

დარწმუნებული ვართ, ყველა ნორმალური კაცი იტყვის — გაგიჟდნენო, თუმცა თითქმის ასპროცენტიანი დარწმუნებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შვედები ამაზე უპასუხებენ — ჩვენ პოლიტკორექტულობისა და თანასწორუფლებიანობის მომხრენი ვართო.

— ამ სიტყვას მაშინ ვხმარობთ, როცა საბავშვო ბაღში, მაგალითად, ექიმი უნდა მოვიდეს. ჩვენ არ ვიცით, ქალი იქნება ის თუ მამაკაცი, ამიტომ ვამბობთ, რომ უნდა მოვიდეს. ამდენად, ბავშვებს როგორც ექიმი ქალის, ასევე მამაკაცის წარმოდგენა შეუძლიათ, ეს კი მათ მსოფლმხედველობას აფართოებს, — ირწმუნება საბავშვო ბაღის გამგე ლოტა რაილინი.



— საზოგადოება ქალიშვილებისგან ელის, რომ ისინი ქალურნი და მომხიბლავნი, ბიჭები ვაჟკაცურნი და გამბედავნი იქნებიან. ჩვენი საბავშვო ბაღი „ეგალია“ კი მათ იმის საშუალებას აძლევს, იყონ ისინი, ვინც არიან, — ხმას აყოლებს ლოტა რაილინს მისი გარემოცვა.

ამ კონცეფციის შესაბამისად, „ეგალიის“ აღმზრდელები ბავშვებისთვის შესაბამის წიგნებსა და სათამაშოებს არჩევენ. თოჯინები აქ არა მარტო უსქესონი, არამედ ფერადკანიანები არიან, რის გამო ადგილობრივი რასისტები საბავშვო ბაღის აღმზრდელებს უკვე დაემუქრნენ კიდეც. ახლა სიტყვა ჰომოფობებზეა. ბავშვებს საყვარელი ზღაპრების მაგივრად... ჰომოსექსუალისტი ჟირაფების ამბებს უკითხავენ, რომლებიც ნიანგის კვერცხებს ჩეკავენ, სამდედიანი და ხუთმამიანი ოჯახების შესახებ უყვებიან, სადაც არავინ იცის, ვინაა ბავშვის მამა და დედა...

— ეს საბავშვო ბაღი ჩვენს პატარას იმიტომ შევურჩიეთ, რომ ბავშვმა საკუთარი თავის გამოვლენა ყოველგვარი გენდერული სტერეოტიპების გარეშე შეძლოს, — ამბობს ერთ-ერთი დედიკო.

ისიც უნდა ითქვას, რომ სალი გონება ერთიანად ყველას არ დაუკარგავს, მაგალითად, ბავშვების აღზრდისადმი ასეთ მიდგომას შეუპოვრად ებრძვის ტანია ბერგკვისტი, რომელიც აცხადებს, რომ მამაკაცებისთვის და ქალებისთვის სხვადასხვა როლის დაკისრება, თუკი ისინი თანასწორნი არიან, თანამედროვე საზოგადოებაში არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. თუმცა, როგორც მოვლენათა განვითარება ცხადყოფს, სალი მიდგომა შვედებს შორის მაინცდამაინც დიდი პოპულარობით არ სარგებლობს — ბავშვების „ეგალიაში“ მიმბარებელთა რიგები დგას...

## ვულოცავთ!

# ნანატრი მარიამი



28 აგვისტოს, მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, **ნინო წილოსანს და ლადო აბულაძეს**, ორი ვაჟკაცის შემდეგ მესამე, ნანატრი ქალიშვილი, მშვენიერი **მარიამი** შეეძინათ.

მის სახელოვან და სიკეთით სავსე მშობლებს ვულოცავ ამ დიდ სიხარულს და ვუსურვებ პატარა მარიამი ჯანმრთელი და ჩვენი ქვეყნის სასახელო შვილი გაზრდილიყოს!

მეხუთე შვილიშვილის — მარიამის დაბადებას ვულოცავთ ბაბუას — გამოჩენილ ბიზნესმენსა და დიდ ქველმოქმედს ბადრი წილოსანს, ბებიებს ნუნუ წილოსანსა და ლენა აბულაძეს — კვლავაც იმრავლოს თქვენმა ოჯახმა და თქვენს შვილიშვილებს ლაღი და ბედნიერი მომავალი ჰქონოდეთ.

ლალი ქინქლაძე



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6457 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3699 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7085 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.6126 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.4792 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0883 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0598 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.9189 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5654 ლარი |



რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
599-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

ტიპები ბარში ქეიფობენ. უცებ ერთი მათგანი ჯიბიდან პატარა კაცუნას ამოიყვანს, ბეჭედში კონიაკს დაუსხამს, მიაწვდის და ეუბნება:

— პეტკა, აბა, ერთხელაც მოგვიყევი, თუ ძმა ხარ, როგორ ამოუტრიალე დედმამის სული აფრიკელ ჯადოქარს...

* * *

საზოგადოება ბევრად კეთილი გახდებოდა, ყოველ ადამიანს რომ ჰქონდეს იმისი კანონიერი უფლება, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც ამოიღოს ბუდიდან პისტოლეტი და მტერს თავი გაუხვრიტოს...

— და რაც მთავარია, ადამიანები უფრო ყურადღებით მოექცეოდნენ ერთმანეთს...



* * *

საკლასო ოთახში ახალი მასწავლებელი ბავშვებს ეცნობა:

— მე ივან დავიდოვიჩი მქვია. ვარ ლიბერალი. ახლა თქვენც ასევე გამეცანით...

— მე დაშა მქვია, ლიბერალი ვარ...

— პეტკა მქვია და მეც ლიბერალი ვარ...

— მე ვოვა მქვია და სტალინელი ვარ.

— რატომ ხარ სტალინელი?!

— იმიტომ, რომ ჩემი მშობლები სტალინელები არიან, ჩემი მეგობრებიც და მეც სტალინელი ვარ.

— აბა დედაშენი რომ მეძავი ყოფილიყო, მამა — ნარკომანი, მეგობრები კი — პედერასტები, მაშინ ვინ იქნებოდი?

— ლიბერალი.

* * *

— მიხო, ხმა ამოიღე, კაცო, მომიყევი რამე, რას გაჩუმებულხარ!

— რა უნდა მოგიყვე, დედაკაცო, მაინც არაფერი გესმის კუნძივითა!

— ეს მართლაც საინტერესოა, მერე რა დაემართა იმ ტიპს?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24